# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 24 სექტემბერი, 2015 წელი.

№179 (7824)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


## ვაი ჭკუისაგან, გნაცვლო!

# კახელი გრიშენკო ტყუილში ამხილეს

**კახეთში მცხოვრები გელა გრიშენკო ირწმუნებოდა, რომ ყურძნის დაბალი ფასის გამო ვაზის გაჩეხა გადაწყვიტა. მას შემდეგ, რაც საკითხით ადგილობრივი ხელისუფლება დაინტერესდა, ბევრი საინტერესო დეტალი გამოიკვეთა.**

კახეთის გუბერნატორი მევენახის მიერ ვაზის გაჩეხას პოლიტიზებულ პროცესს უწოდებს. ირაკლი შიოლაშვილმა



გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში გელა გრიშენკოს ვენახი პირადად მოინახულა. შიოლაშვილის ინფორმაციით, კახელმა მევენახემ გელა გრიშენკომ შეცდომაში შეიყვანა ჟურნალისტები. გუბერნატორის განცხადებით, ვენახი, რომელიც კამერების წინ აჩეხა, მისი საკუთრება არ არის და ის იმავე სოფლის მკვიდრს გოდერძი დოლენჯაშვილს ეკუთვნის, რომელმაც ძველი ვენახი ახალი ვაზის გაშენების მიზნით რამდენიმე დღის წინათ გაჩეხა.

გუბერნატორის ინფორმაციით, გელა გრიშენკოს 75 მეასედზე გაშენებული აქვს ვენახი და მიღებული მოსავალი – 4 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძენი 18 სექტემბერს ჭანდარის ღვინის ქარხანაში 70 თეთრად ჩააბარა.

აღსანიშნავია, რომ გრიშენკოს დედა ნუნუ გრიშენკო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერია, აქტიურად მონაწილეობდა კახეთში გამართულ საპროტესტო აქციებში.

ის ასევე პარლამენტში, გურჯაანის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად იმყოფებოდა ერთ-ერთ საკომიტეტო მოსმენაზე. ასევე მონაწილეობდა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს გადაცემა „არჩევანში“, რომელიც კახეთში მიმდინარე საპროტესტო აქციებს ეძღვნებოდა.

### გამოხმაურება

პროფესორი **დავით იაკობიძე** კახეთში მომხდარ იმ ამბავთან დაკავშირებით, რომ მევენახემ სხვისი ვენახი გაჩეხა, სოციალურ ქსელში ეხმაურება:

**„რასაც კახეთის გუბერნატორი, ბატონი ირაკლი შიოლაშვილი ამბობს, თუ მართალია და არავითარი საფუძველი არ გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ იმ ფაქტებში, რასაც იგი გვაწვდის, მაშინ საქმე გვაქვს არნახულ, ცინიკურ დანაშაულთან, საზოგადოების მენტალობისა და ადამიანთა შორის ურთიერთობის ცივილიზებული ფორმების წინააღმდეგ. უნდა აღიძრას საქმე ამ ფარსის მონაწილე ყველა პირის მიმართ და სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს ყველა მოქმედი პირი. განსაკუთრებით აქტიური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ამ ფარსში მონაწილე ტელეჟურნალისტების საქციელი“.**



## გრიგოლ გაგნიძე:

### გიგი უგულავას საქმის მოსამართლე მკაცრად უნდა დაისაჯოს

2

### ქიზარ ხალვაში თავისი უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას ითხოვს

6

## სოსო ჯაჭვლიანი:

### ხომ შეიძლება, გეი მაფიოზებმა ქალისა და მამაკაცის სიყვარული ანომალიად გამოაცხადონ?!

4

## საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილი

# ოჯახი პატრიარქმა მოინახულა

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გორისა და ატენის ეპარქიას სტუმრობდა. ილია მეორე მღვდელმთავრებთან და სასულიერო პირებთან ერთად ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრედ მდებარე სოფელ ხურვალეთში ჩავიდა. უწმინდესი სოფლის ცენტრში შეკრებილ ადგილობრივ მოსახლეობას და მიმდებარე სოფლებიდან ჩასულ მრევლს შეხვდა. შემდეგ კი პატრიარქმა გორისა და ატენის ეპარქიის მმართველთან, მიტროპოლიტ ანდრიასთან და სხვა მღვდელმთავრებთან ერთად მავთულხლართებთან გადაინაცვლა, სადაც 2008 წლის ომის შემდეგ ვანიშვილის ოჯახი ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა.**



უწმინდესმა 84 წლის დავით ვანიშვილი და მისი მეუღლე დალოცა, ჯვარი, სანთლები და ვერცხლის სამაჯურები წარწერით „უფალო შეგვიწყალენ“ აჩუქა, ასევე ოჯახს გარკვეული თანხაც გადასცა.

უწმინდესმა დავით ვანიშვილს სთხოვა, რომ პატრიარქის ნაჩუქარი სანთლები ოჯახში ყოველდღიურად აანთონ. დავით ვანიშვილმა უწმინდესს შესჩივლა, რომ მავთულხლართებს მიღმა პატიმარივით ცხოვრობს.

პატრიარქმა მავთულხლართებს მიღმა მოქცეული ოჯახი დალოცა და დააიმედა, რომ ყველაფერი კარგად იქნება და მდგომარეობა მალე უკეთესობისკენ შეიცვლება.

## დღის ამოჩაზურიდან

# რას ლაპარაკობს ხალხი ამ დღეებში









– ძალიან ბევრს, შინაურსაც და გარეულსაც, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საქართველოში ამჟამად მხოლოდ პოლიტიკა მუშაობს, ანუ აგრერიგად მომრავლებულ პარტიებს თავიანთი თავის გარდა, არცრა ახსოვთ და ქვეყნის ბედი სულ ფეხებზე ჰკიდიათ. აი თუნდაც მემარჯვენეები. კერძოდ, თვითონ პარტიის თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძე, გინდ მამუკა კაციტაძე და მანანა ნაჭყებია. წლების მანძილზე წყალწყალა ლაპარაკს არიან გადაყოლილნი. ამდენ ცრუქლაქუნობას განა არ აჯობებდა, რომ ერთი რამ ფერმა შეექმნათ და რამე სასარგებლო შრომისთვის მიეყოთ ხელი. არადა, არჩევნებში მაგათგან ბარიერის გადალახვა ისევე წარმოუდგენელია, როგორც თავმჯდომარე ფიქრიას პატარძლობა!

– ღმერთმანი, საზღვარი არა აქვს გიგა ბოკერიას თავხედობას, „რუსთავი-2“-ის ეკრანი ლამის 24 საათი გაგიგაბოკერიებულია. რაკი თავისი არამიზნობრივად გამოხრული მილიონები შერჩა თუ შეატყაპუნებინეს, ახლა ასევე მილიონების მსანსვლელ უგულავას ესარჩლება და იმედი აქვს, რომ ჩვენი „პლასტელინის“ პრეზიდენტი აუცილებლად შეიწყალებს ყოფილ ქალაქის მერს, რომელმაც, იმის მაგივრად, რომ თავი ჩაეღუნა და მონანიების გზას დასდგომოდა, თავი გაიარსენოძელაშვილა. ის კი არა, ეს ნაციონალურად თვალებჟუჟუნა ბოკერია მუქარაზეც კია გადასული. კონსტიტუციურად შენიღბული ნაციონალის პაპუასაშვილისა თუ პაპუაშვილის იმედით უტიფრულად აცხადებს, ივანიშვილს ძალაუფლებას კონსტიტუციურად ჩამოვაცილებთო.

– „ოცნებამ“ ნამეტანი გაილიბერალა თავი. აქაოდა ჩვენი დემოკრატიით ევროპაც კი უნდა გავაკვირვოთო, სამართლიანობის აღდგენას სულ მიანება თავი, რახან ასეაო, ნაციონალებმაც აიწყვიტეს. ნახეთ, რა დღეშია მკვლელი გიორგი ბარამიძე, რომელიც ციხის მაგივრად პარლამენტშია ვიცე-სპიკერად წამოსკუპებული.

– მე ძალიან მენიშნა უგულავას ფრაზა, საკანში მხოლოდ გოკა გაბაშვილს გავუძლებდიო. ჰოდა, მე შენ გეტყვი, ღირსი არ არის ეს პროპაგანდისტულ რობოტად ქცეული ნაციონალი, რომ გვერდი დაუმშვენოს თავისიანთაგან პოლიტიკურ პატიმრად გამოცხადებულ ყოფილ ქალაქის მერს.

**ხალხის ლაპარაკს მიაყურადა**
**გურამ წიკლაური**

№179. ხუთშაბათი, 24 სექტემბერი, 2015 წელი.

## დღის ინტერვიუ

**მართალია, ოპოზიციური ძალები და მესამე სექტორი გიგი უგულავას ერთდღიან თავისუფლებას ხელისუფლებაზე დიდ გამარჯვებად მიიჩნევენ, მაგრამ უფლებადამცველ გრიგოლ გაგნიძეს ეს მომენტი სრულიად სხვაგვარ ეჭვებს უჩენს. ის თითს გიგი უგულავას საქმის მოსამართლე ჯემალ კოპალიანისკენ იშვერს, რომელმაც, მისი ვარაუდით, შეგნებულად დაარღვია პატიმრობის 9-თვიანი ვადა, რათა შემდეგ ეჭვი ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაში შეეტანათ. გრიგოლ გაგნიძე ამის გამო მოსამართლის მკაცრად გასამართლებას მოითხოვს.**

**გრიგოლ გაგნიძე:** — გიგი უგულავას ერთდღიან გათავისუფლებაზე სხვადასხვაგვარი კომენტარი კეთდება. განსაკუთრებით ის არასამთავრობო ორგანიზაციები გამოირჩევიან, რომელიც პირდაპირ ასოცირდებიან ნაციონალურ მოძრაობასთან. უახლოეს დღეებში დაგეგმილია უზენაესი სასამართლოს საკონსტიტუციო საბჭოში გიგი უგულავას საქმის ამ დეტალზე მსჯელობა, განხილვა. გამოტანილ მოსაზრებებს შემდეგ მოგახსენებთ, მაგრამ ამჯერად სუბიექტურ კონტექსტში მინდა ვისაუბრო. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მეორე ნაწილში ხაზგასმით წერია, რომ ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ეს არის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დადგენილი წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. სასამართლო და პროკურატურა ხელმძღვანელობს აღნიშნული კოდექსით. ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილში ზუსტად იგივე წერია, რომ ბრალდებულის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. მაგრამ აქვე ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულია, რომ აღნიშნული მუხლის დარღვევა ისჯება კანონით.

**— ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ დროს უნდა დადგეს მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც ეს მუხლი დაარღვია?**

— რა თქმა უნდა, ეს არის კანონის იმპერატიული მოთხოვნა. მე მივმართავ შესაბამის უწყებებს: ეს იქნება პროკურატურა, სასამართლო ხელისუფლება თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რათა დაიწყოს დისციპლინარული წარმოება მოსამართლეებზე, რომლებმაც ეს 9-თვიანი ვადა გაუშვეს. ეს არ არის გადაცდომა, არამედ სამოხელეო დანაშაულია. მე ვერ გეტყვით, როგორი იქნება პოლიტიკური ნება, სამსახურიდან დაითხოვენ, თუ პასუხისგებაში მისცემენ, მაგრამ ხელისუფლებამ ეს პრეცედენტი უნდა დაუშვას და ასეთი მოსამართლეები დასაჯოს.

**— ეჭვობდნენ, რომ უგულავას საქმესთან დაკავშირებით ხელისუფლება ახდენდა ზემოქმედებას მოსამართლეებზე, უკეთეს შემთხვევაში კი შეთანხმებულად მოქმედებდნენ, თქვენ კი სხვა მახვილები დასვით?**

— ვიმსჯელოთ იმით, თუ რა შედეგი დაგვიდგა. ჩემი აზრით, ეს იყო ფარული თამაში, „პინგ-პონგი" სასამართლო და საკონსტიტუციო ხელისუფლებებს შორის, რათა საერთაშორისო არენაზე სახელისუფლებო შტოებს კიდევ ერთხელ შერყეოდათ რეპუტაცია და ოპოზიციურ ძალებს სათავისოდ გამოეყენებინათ.

**— თუ გახსენდებათ პრეცედენტი, რომ კანონის უხეში დარღვევის გამო მოსამართლე დაესაჯათ?**

— შეგახსენებთ, რომ კბილაშვილის პროკურორობის დროს, კახეთში გაასამართლეს პროკურორი, რომელმაც ბრალი დასდო პირს ადამიანის მკვლელობაში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „მოკლული" ცოცხალი იყო. თუ შეიძლება პროკურორი მიეცეს პასუხისგებაში, რატომ არ შეიძლება მოსამართლე გასამართლდეს?

როგორც ვიცი, უზენაესი სასამართლო აპირებს, გამოიკვლიოს ყველა ის საქმე, სადაც 9-თვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა დარღვეულია.

**— ვის ევალება ამ 9-თვიანი ვადის კონტროლი?**

— პროკურატურამ როგორი დაგვიანებითაც არ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, მოსამართლე ვალდებულია, არ გაუშვას 9-თვიანი ვადა. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ბრალდებული და რაში ედება ბრალი, თუნდაც მკვლელი იყოს, თუ მტკიცებულებები არ არის, წინასწარი პატიმრობის ვადა 9 თვის გასვლის შემდეგ უნდა შეწყდეს.



## გრიგოლ გაგნიძე:

# გიგი უგულავას საქმის მოსამართლე მკაცრად უნდა დაისაჯოს



**ჯემალ კოპალიანის გადაწყვეტილება ხელისუფლების დისკრედიტაციას ემსახურება**

**— შეიძლება „გაექცათ" ეს ვადა?**

— წარმოუდგენელია, მოსამართლეს არ სცოდნოდა კანონის ის მუხლი, რომელიც პატიმრობის ვადას შეეხება. ალბათ, მიზანი ის იყო, რომ საზოგადოებაში გარკვეული უარყოფითი პოლიტიკური მუხტი გამოეწვია. მივიღეთ კიდეც სასამართლოს ეზოში აქციები, ხმაური, პოლიტიკური განცხადებები და ა. შ.

**— ე. ი. მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებულის გაშვების შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება არ არის იმის საფუძველი, რომ უაპელაციოდ გათავისუფლდეს პირი, როგორც ამას უგულავას შემთხვევაში ითხოვდნენ?**

— რა თქმა უნდა, სასამართლომ უნდა გააფორმოს დოკუმენტი, ვინაიდან მოსამართლის პასუხისმგებლობაა, თუ რის გამო უშვებს ის ბრალდებულს. არადა, ვნახეთ, როგორ პროვოკაციულად მიუხტნენ კახიშვილის უწყებას, გინდა თუ არა გამოუშვიო. საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს ადამიანის განთავისუფლების უფლება, ის არ არის პრეზიდენტის ადმინისტრაცია, რომ ვინმე შეიწყალოს. ნაციონალები კი უვიცებივით დარბოდნენ ხან მატროსოვის ციხეში, ხან — იქ, ხან — აქ, რაღაც ემოციის გამოწვევას ცდილობდნენ...

**— ბატონო გრიგოლ, თქვენი მსჯელობიდან იკვეთება, რომ გიგი უგულავას მოსამართლე, რომელმაც გაუშვა 9-თვიანი პატიმრობის ვადა, მიზანმიმართულად ემსახურებოდა ხელისუფლების დისკრედიტაციას?**

— მე ბრალს ვერ დავდებ მოსამართლე ჯემალ კოპალიანს, უდანაშაულობის პრეზუმფციას ვერ დავარღვევ, მაგრამ ამის საფუძვლიანი ეჭვი აშკარად არის. ერთ ან ორ დღეზე ხომ არ არის ლაპარაკი, მთელი 5 თვე თუ 6 თვე გადააცილა 9-თვიან ვადას. ფაქტობრივად, თამასა აიწია. მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აუცილებლობის წინაშე დაგვაყენა. ახლა კი საკონსტიტუციო სასამართლოს თანამდევმა შედეგმა მოსამართლეები ნაღმზე დასვა.

**— ჯემალ კოპალიანი ხომ არ იყო შემჩნეული ნაციონალებთან მეგობრობაში?**

— მეგობრობის რა გითხრათ, მაგრამ ეს ის მოსამართლეა, რომელმაც არაერთი პოლიტპატიმარი გაასამართლა „მუხროვანის ამბოხზე", ზურა ვაზაგაშვილის კორტების საქმეზე ბრალდებული სპეცნაზელები პოლიციელთა თავდებობით დარბაზიდან გაათავისუფლა... შეიძლება, ეს ბატონი ცდილობდა, სააკაშვილის დროს გამოტანილი განაჩენების „ცოდვის გამოსყიდვას" და ახლა ნაციონალების დასჯას, მაგრამ ამ გადაწყვეტილებით რომ ცუდი სამსახური გაუწია ხელისუფლებას, ფაქტია. საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი არაფერი უთქვამს. რაც კანონში წერია, ის აღნიშნა. მხოლოდ პოლიტიკური ელფერი შესძინა... აი, რაც შეეხება მოსამართლე მერაბ ტურავას ამბავს, აქ ნამდვილად იკვეთება ზეწოლის ნიშნები. შეიძლება მოსამართლეს, რომელიც ცუდად არის, მთელი კოლეგია თავზე დაადგეს და მოსთხოვოს, გინდა თუ არა, ხელი მოაწერეო?! გიორგი პაპუაშვილი კი აქეთ გადმოდის შეტევაზე და ამბობს, როგორ თუ აქციის მონაწილეებმა პომიდვრები ესროლეს მოსამართლეთა სახლებს, ჩვენზე ძალადობენო... აქცია იყო აზრის თავისუფლად გამოხატვის ფორმა, რადგან ფიზიკურად არავის შეხებიან. სააკაშვილმა ათას-ათას ლარად რომ გადასცა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს 200-ათასიანი ქონებები, ის რა იყო? ეს ხომ პირდაპირ მოსყიდვაა? და ვინ იტყვის, რომ გიორგი პაპუაშვილი და მისი კოლეგები დამოუკიდებლები არიან?!

**— და მაინც, ვინ უნდა აღძრას საქმე მოსამართლე ჯემალ კოპალიანის წინააღმდეგ, ვის აქვს ამის ვალდებულება?**

— პირველი ეფექტიანი მექანიზმი არის იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მაგრამ ასევე საჭიროა ხელისუფლების პოლიტიკური ნება. თუ კოპალიანის ქმედებაში გამოიკვეთა სისხლის სამართლის საქმე, პროკურატურა უნდა დაინტერესდეს და საბოლოოდ სასამართლომ გამოუტანოს განაჩენი. კოდექსში მითითებული მუხლი: „საქმის ჯეროვნად შესრულება, რომელიც ლახავს სასამართლოს რეპუტაციას", სწორედ რომ პირდაპირ ჯდება ამ კრიტერიუმში. ჩემი აზრით, თუ პასუხისგებაში არ მიეცა ბატონი მოსამართლე, დისციპლინური დასჯა (ვთქვათ, რომ მოსამართლე არ იქნება) მსუბუქი სასჯელია.

ესაუბრა
**თეა მოსია**

# ნობელის პრემიის უხუცესი ნანობს ობამას პრემიის თაობაზე

**ნობელის კომიტეტის ყოფილმა მდივანმა ჰეირ ლუნდესტადმა განაცხადა, რომ 2009 წელს მშვიდობის ნობელის პრემიის მიმღებმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ობამამ ვერ გაამართლა ის იმედები, რასაც მასზე ამყარებდნენ.**

თავისი მემუარების წიგნში ლუნდესტადი აღნიშნავს, რომ ეს პრემია იგეგმებოდა როგორც სტიმული პრეზიდენტ ობამას მომავალი დიდი საქმეებისთვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასამკვიდრებლად.

მაგრამ მაშინ ნობელის კომიტეტის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, როგორც იგი აღნიშნავს, გამოიწვია არა მხოლოდ კრიტიკის ტალღა იმათ მხრიდან, ვისაც მიაჩნდა, რომ ობამამ ჯერ კიდევ ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო ასეთი მაღალი ჯილდოს მიღებისათვის, არამედ ამან გააოცა თვით ობამაც კი.

„ობამას ბევრი მომხრეც კი გაოცებული იყო და მიაჩნდათ, რომ ეს რაღაც შეცდომაა", — წერს წიგნში კომიტეტის ექს-მდივანი.

და დამატებით აღნიშნავს, რომ ობამა არც აპირებდა წასულიყო ოსლოში დაჯილდოების ცერემონიაზე, მისი ადმინისტრაცია კი არკვევდა საკითხს, ხომ არ შეიძლებოდა გვერდი აგვევლო ოსლოში პრემიის გადაცემის ცერემონიისათვის. აღმოჩნდა, რომ ასეთი რამ მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ხდებოდა — უმთავრესად, თუ პრემიას ანიჭებდნენ ვინმე დისიდენტს, რომელსაც არ უშვებდა საკუთარი ქვეყნის ხელისუფლება.



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი 2009 წელს გახდა. ნორვეგიის ნობელის კომიტეტმა ოსლოში მაშინ განაცხადა, რომ პრემია გადაეცა მას ძალისხმევისათვის ბირთვული იარაღის გარეშე მსოფლიოს შექმნისა და ხალხთა შორის თანამშრომლობისათვის.

### სხვა კაზუსები

**ლუნდესტადი** იყო გავლენიანი, მაგრამ არ ღებულობდა მონაწილეობას ნობელის კომიტეტის კანდიდატურებთან დაკავშირებულ კენჭისყრებში 1990-დან 2015 წლამდე.

როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი აღნიშნავს, მისი წიგნი — ეს არის ლაურეატობის კანდიდატურებთან დაკავშირებით კომიტეტის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების განხილვის იშვიათი შემთხვევა.

მაგალითად, ლუნდესტადი წერს, რომ 2010 წელს იონას ჰარ სტიორე, ნორვეგიის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, ცდილობდა გადაეთქმევინებინა კომიტეტისათვის — გადაეცათ მშვიდობის პრემია ჩინელ დისიდენტ ლიუ სიაობოსთვის, ამტკიცებდა, რომ ეს ზიანს მიაყენებდა ჩინეთთან ურთიერთობებს. ნობელის კომიტეტმა მაშინ ეს მოწოდება უგულებელყო.

ექს-მდივანმა აგრეთვე გამოთქვა კრიტიკა ტურბიერ იაგლანდის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნასთან დაკავშირებით, თუმცა, მანამდე იგი ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი იყო.

ლუნდესტადის აზრით, ამის გაკეთება არ ღირდა, ვინაიდან ნობელის კომიტეტი ყურადღების აქცენტირებას აკეთებს თავის აბსოლუტურად პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე.

## ერგნეთული შეხვედრები განახლდა

**სოფელ ერგნეთში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფორმატში ორთვიანი შესვენების შემდეგ შეხვედრები განახლდა.**

**შეხვედრაში პირველად მონაწილეობს უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი ბერაია. როგორც ირაკლი ბერაიამ შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა, ქართული მხარე მოლაპარაკებაზე ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცის რამდენჯერმე დარღვევას გააპროტესტებს.**

**გარდა ამისა, ქართული მხარე მოითხოვს იმ პირების გათავისუფლებას, რომლებიც ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დე ფაქტო ცხინვალის წარმომადგენლებმა ბოლო პერიოდში დააკავეს.**

**ბერაიას თქმით, ქართული მხარე კიდევ ერთხელ დააყენებს საკითხს, რამდენიმე წლის წინ გაუჩინარებული ნალბანდოვის და ასევე ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე თითქმის ორი წლის წინ მოკლული დავით ბაშარულის ცხედრის ექსპერტიზის გასაჯაროებასთან დაკავშირებით. დავით ბაშარულის ცხედარი ქართულ მხარეს დაახლოებით ერთი წლის წინ გადმოსცეს. თუმცა, ექსპერტიზის პასუხების გადმოცემა რამდენჯერმე მოთხოვნის მიუხედავად, ამ დრომდე არ მომხდარა.**

### რას ეყრდნობა მოსახლეობა?

# „პრორუსული პროპაგანდა ძალიან ცუდია, მაგრამ უკანონო არ არის“




**„ქვეყანაში რუსული პროპაგანდის ზრდა აშკარად შეინიშნება. მართალია, ეს მიანიშნებს, რომ ჩვენი მთავრობა ლოიალური და დემოკრატიულია, მაგრამ პირადად მე, როგორც ეროვნული მოძრაობის წევრი და ადამიანი, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება სამშობლოს თავისუფლებასა და პროგრესს მივუძღვენი, ამ პროცესებს სიფრთხილით ვაკვირდები“,** — აცხადებს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში გელა დუმბაძე.

დუმბაძის განცხადებაზე კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებიათ მინისტრთა კაბინეტის წევრებს, თუმცა, საინფორმაციო ველზე რუსული პროპაგანდის გაძლიერებაზე საუბრობს საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრი **ლევან ბერძენიშვილი,** რომლის განცხადებით, ჯერჯერობით ყველაფერი კანონიერების ფარგლებში ხდება.

**„მე ვიცი ჩვენ რომელი პროპაგანდა მოგვწონს და რომელი არა, მაგრამ ჯერჯერობით პრორუსული კანონს არ არღვევს. ამწუთას იმის თქმა, რომ ტელეკომპანია „ობიექტივში“ ან სადმე რუსების სასარგებლოდ ლაპარაკობენ, ამით კანონი არ ირღვევა. ძალიან ცუდია, გულის ამრევია პრორუსული პროპაგანდა, მაგრამ უკანონო არ არის. თუკი სადმე დარღვევა არის, ეს დარღვევა უნდა გამოვლინდეს და კარგია, რომ მთავრობა შეუწუხებულია და იქვეა პროკურატურაც.**

**იცით, რომ ფინანსებთან დაკავშირებით ყოველთვის იყო კითხვები, საიდან აქვთ ამ პროპაგანდისტებს ფული, თუკი გამოიძიებენ და იპოვიან, რა თქმა უნდა, კარგს იზამენ. იმის თქმა, რომ ამ ხალხს ავუკრძალოთ ლაპარაკი, ამის უფლება ჩვენ არა გვაქვს, ამის უფლება აქვთ ყველას და მათ შორის იმათ, ვინც ჩვენ არ მოგვწონს“**, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ლევან ბერძენიშვილი.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის ირაკლი ჩიქოვანის განცხადებით, რუსეთის ფედერაცია დიდი ხანია, ცდილობს ე.წ. რბილი ძალის პოლიტიკის გამოყენებას, თუმცა, მისივე თქმით, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ კლასიკური გაგებით ეს არ არის რბილი ძალა, ეს საკმაოდ ხისტი ძალაა, რომელიც პირდაპირ პროპაგანდისტულად მოქმედებს.

**„ამ პროპაგანდის ნაწილში შესამჩნევია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში საკმაოდ მომრავლდნენ ისეთი მედიასაშუალებები, რომელთა დაფინანსების წყარო არის რუსეთი. რა თქმა უნდა, არავის არ ვუზღუდავთ გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ გარკვეული თავშეკავებულობა გვმართებს, იმიტომ, რომ შემდგომში ეს შეიძლება ითარგმნოს ინტერესის გამტარებელ საშუალებად.**

**გარდა ამისა, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ე.წ. რბილი ძალა მხოლოდ მედიასაშუალებებზე არ არის ორიენტირებული, რადგან არის გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც რუსული პროპაგანდით არიან დაკავებულები. ქართულ სახელმწიფოში და საზოგადოებაში ძალიან მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ჩვენი დასავლური კურსი, რომელიც ჩვენი ქვეყნის რეალურ სახელმწიფოებრივ განვითარებას უზრუნველყოფს“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ირაკლი ჩიქოვანი.

ა-ო „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის ეკა გიგაურის განცხადებით, შეიმჩნევა პრორუსული მედიასაშუალებების გამოჩენის ტენდენცია. მისივე თქმით, უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება კვლევა იმის თაობაზე, თუ ვინ დგას სხვადასხვა პრორუსული ხაზის მქონე მედიასაშუალებების უკან.

პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის განცხადებით, აშკარაა რუსული პროპაგანდის ზრდა, თუმცა, მისივე თქმით, ვცხოვრობთ სახელმწიფოში, რომელსაც არც პროპაგანდის და არც კონტრპროპაგანდის უნარი აქვს. ასეთი სახელმწიფო კი ცისკარიშვილის განცხადებით, დიდხანს ვერ იდგება საკუთარ ფეხზე.

**თამთა ქარჩავა**

### განაჩენი შეიცვალა

# ეშაფოტს გადარჩენილები სამშობლოში და დაბრუნდებიან

**ბაბუცა გორდაძე და დარეჯან კოხტაშვილი სამშობლოში რამდენიმე თვეში დაბრუნდებიან. ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით მალაიზიაში დაკავებულმა ქალბატონებმა შეწყალების უფლებით ისარგებლეს. ისინი სასჯელის გარკვეულ ნაწილში მონარქმა შეიწყალა. კოხტაშვილი, რომელიც სასჯელს მალაიზიის ქალაქ კაჯანგის ციხეში იხდის, საპატიმროს ერთ წელიწადში დატოვებს, კოტა-კინა-ბალუს ქალთა ციხეში იხდის სასჯელს გორდაძე, რომელსაც პატიმრობის ვადა თებერვალში ეწურება.**

გორდაძე და კოხტაშვილი 2010 წლის 24 ოქტომბერს მალაიზიაში ნარკოდანაშაულის ბრალდებით დააკავეს. მალაიზიის კანონმდებლობა, რომელიც 1975 წელს არის მიღებული, ასეთ შემთხვევაში ერთადერთ სასჯელს, სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. სიკვდილით დასჯა ამ ქვეყანაში მხოლოდ ნარკოდანაშაულის შემთხვევაში ვრცელდება.



ქართველ ქალებს მალაიზიის კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა გამოუტანეს, თუმცა, სიკვდილით დასჯას ისინი მას შემდეგ გადაურჩნენ, რაც ქართველ სამართალდამცავებს ბაბუცა გორდაძის მეუღლე ელდარ დავითიანი ნებით ჩაბარდა და ნარკოტრაფიკის ბრალდება თავის თავზე აიღო.

გორდაძე და კოხტაშვილი თბილისიდან თურქეთში სწორედ ელდარ დავითიანის სატელეფონო ზარის შემდეგ წავიდნენ, როცა დავითიანი მათ ჯინსების მწარმოებელ ფაბრიკაში დასაქმებას შეჰპირდა. თუმცა, როგორ და ვისი დახმარებით მოხვდა ორი ქართველი მალაიზიაში და საიდან აღმოჩნდა მათ ბარგში დიდი ოდენობით ნარკოტიკი, ამ დრომდე უცნობია, რადგან დავითიანის ჩვენება ამ დრომდე არ ხმაურდება. თუმცა, მისი აღიარებითი ჩვენება გადაეგზავნა მალაიზიის პოლიციას, რის საფუძველზეც ქართველ ქალებს სიკვდილით დასჯა პატიმრობით შეეცვალათ. მოგვიანებით კი, მალაიზიურმა მხარემ მათთან მიმართებაში შეწყალების პროცედურა გამოიყენა, რის საფუძველზეც სასჯელის გარკვეული ნაწილი შეუმცირდათ.

**მალაიზიის საპატიმროში მყოფი დარეჯან კოხტაშვილი გასულ კვირას პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ მოინახულა. „დარეჯანს რაიმე საჩივარი არ გამოუთქვამს. იგი ციხეში დასაქმებულიც არის და შედარებით უკეთესი პირობები აქვს. სამწუხაროდ, მეორე პატიმარს ვერ შევხდი, რადგან ის კუნძულზეა, ისე, ჩვენი წარმომადგენლისგან ვიცი, რომ მისი მდგომარეობაც დამაკმაყოფილებელია“, — აცხადებს მანანა კობახიძე.**

**თამთა ქარჩავა**

### ამერ-იმერი

# კახეთში ყურძნის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 25 მლნ ლარს მიაღწია!

**23 სექტემბრის 12.00 საათის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავდა 42 ათას ტონამდე ყურძენი. მათ შორის, 17 ათას ტონამდე რქაწითელი, 19 ათას ტონამდე საფერავი, 1,5 ათას ტონამდე კახური მწვანე და 6 ათას ტონამდე სხვა ჯიშის ყურძენი.**

**განვლილი 24 საათის განმავლობაში 6 ათას ტონამდე ყურძენი გადამუშავდა, რაც მიმდინარე რთვლის სეზონის ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია.**

**ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, რთველი კახეთის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს.**

**ყველაზე დიდი რაოდენობით ყურძენია გადამუშავებული შემდეგ მუნიციპალიტეტებში: გურჯაანი — 14 ათას ტონამდე, ყვარელი — 8,6 ათას ტონამდე და თელავი — 6,8 ათას ტონამდე.**

**კახეთში ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართულია ღვინის მწარმოებელი 70 კომპანია, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ დაქირავებული 15 ღვინის საწარმო.**

# სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ქუთაისში ღვინის წარმოებას ევროკავშირის დაფინანსებით იწყებენ

**ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობა ქუთაისში ღვინის წარმოების გახსნის ცერემონიას გამართავს. ახლახან ორმა ადგილობრივმა კოოპერატივმა „თერჯოლის ღვინომ“ და „მეღვინეობა საზანომ“ ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად თანადაფინანსება მიიღო, რაც ღვინის წარმოების გაზრდას, ბოთლებში ჩამოსხმისა და ეტიკეტირების სისტემის შექმნას მოხმარდა. თანხა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის ENPARD-ის ფარგლებში, ასევე, ჩეხური ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ (People in Need) მიერ გამოიყო.**

**ღონისძიებას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩი ტომაშ პერნიკი დაესწრება.**

**„ENPARD-ისა და People in Need-ის ტექნიკური დახმარებით, რომელმაც 76642 ლარი შეადგინა, კოოპერატივმა „მეღვინეობა საზანო“ უახლესი ტექნიკური საშუალებები მიიღო და ამ აქტივების საშუალებით ადგილობრივი ღვინის ევროპული სტანდარტებით ჩამოსხმას შეძლებს, მისი წარმოების მოცულობა პირველი წლისთვის 600 ლიტრი იქნება. კოოპერატივის „თერჯოლას ღვინო“ ტექნიკური გადაიარაღებისათვის ENPARD-ისა და People in Need-ის თანადაფინანსებამ კი 74 365 ლარი შეადგინა, რაც მას საშუალებას მისცემს, პირველ წელს 2,850 ლიტრი ღვინო აწარმოოს. აღნიშნულის მთლიანი ღირებულება 72,456 ლარი იქნება“.**



# რატომ გადაჰყავთ კერძო სკოლებიდან ბავშვები საჯაროში?

**კერძო სექტორი ზიანდება, როცა მშობელს კერძო სკოლაში შეყვანიდან 2-3 დღის ან თვის მერე უნდა, პირველკლასელი შვილი საჯარო სკოლაში გადაიყვანოს , — ამის შესახებ განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა.**



**მისივე განმარტებით, სწორედ კერძოდან საჯარო სკოლაში პირველკლასელების ხელოვნური ნაკადის გადინების თავიდან აცილების მიზნითაა შემოღებული მობილობის წესში გარკვეული შეზღუდვა.**

**„საქმე ეხება იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, სადაც სწავლა დაიწყო სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სწავლის თარიღზე უფრო გვიან და მხოლოდ პირველკლასელებს. გარკვეული შეზღუდვა არის მობილობის წესში, რომელიც გვეუბნება, რომ თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება გვიან იწყებს სწავლას, პირველკლასელების მობილობა არ განხორციელდეს ავტომატურ რეჟიმში, ისე როგორც ხდება მეორე კლასიდან და ზემოთ. იმიტომ რომ, როდესაც დაშორება არის საგრძნობი, იქ ყველა დღეს მნიშვნელობა აქვს პროგრამის თვალსაზრისით. ასევე ამით ჩვენ გვინდა ხელი შევუშალოთ ბავშვების მექანიკური და ხელოვნური ნაკადების გადმოდინებას კერძო სკოლებიდან საჯაროში. არასწორია, როცა მშობელს უნდა საჯარო სკოლაში გადაიყვანოს პირველკლასელი შვილი კერძო სკოლაში შეყვანიდან მეორე და მესამე დღეს, რადგან იქ შეიყვანა მხოლოდ იმიტომ, რომ გვიან დაიწყო სწავლა და საჯარო სკოლებში სწავლის დაწყების მომენტში 6 წელი არ შესრულებოდა. ეს აზიანებს კერძო სექტორს, რადგან კერძო სკოლებს დაგეგმილი აქვთ რესურსი — პედაგოგი, მისი ანაზღაურება, საათობრივი ბადე, სახელმწიფოდანაც მიდის იქ ვაუჩერი, ამიტომ ასეთი ხელოვნური ნაკადების გადმოდინება არ იქნება სასურველი და კარგი არც კერძო სექტორისთვის და არც საჯარო სექტორისთვის“, — განაცხადა თამარ სანიკიძემ.**

**ინტერპრესი**

**ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი სოსო ჯაჭვლიანი მიიჩნევს, რომ პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით საქართველოში მამათმავლობა დააკანონა. დეპუტატი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონიდან „სექსუალური იდენტობისა“ და „გენდერული თანასწორობის“ ჩანაწერის ამოღებას ითხოვს. კანონმდებელი ირწმუნება, რომ მას უმცირესობების მიმართ არც აგრესია აქვს და არც ზიზღი, მაგრამ თვლის, რომ „უკანონობა არ უნდა დაკანონდეს“.**

**კანონში შესაბამისი ცვლილებები უკვე მომზადებულია, რომლის ინიცირებაც უახლოეს მომავალში მოხდება. პროექტზე სოსო ჯაჭვლიანი გვესაუბრება:**



# „ხომ შეიძლება, გეი მაფიოზებმა ქალისა და მამაკაცის სიყვარული ანომალიად გამოაცხადონ?!“

**— პოლიტიკურ დღის წესრიგში ანტიდისკრიმინაციული კანონის გადახედვა დააყენეთ. რატომ?**

— ქვეყანაში ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის მიღებამ აჟიოტაჟი გამოიწვია. რატომ? — ეკლესიას ყველაზე დიდი ნდობა აქვს. ჩვენმა პატრიარქმა დეპუტატებს წერილი გამოგვიგზავნა და მოგვიწოდა, რომ ყველაფერი გაგვეაზრებინა და გადაწყვეტილება ისე მიგვეღო. ქართულ ტოლერანტობაზე რომ გესაუბროთ, ამის დამტკიცებისთვის მილიონი მაგალითის მოყვანა შემიძლია. ვიღაც-ვიღაცები ჩამოდიან და დემოკრატიასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე ლექციებს გვიკითხავენ. მსოფლიოს განვითარების ტემპორითმი აქვს აღებული და ამას ფეხი საქართველომაც უნდა აუწყოს, მაგრამ ყველაზე მთავარი არ უნდა დავივიწყოთ — ჩვენ ჩვენი კულტურა, ადათ-წესები და რელიგია გვაქვს. ვსაუბრობთ, რომ ესა თუ ის ადამიანი იჩაგრება, მაგრამ ჩაგვრის წინააღმდეგ ეკლესიაც გამოდის. იმას რატომ ვაკანონებთ, რაც უკანონობაა? — კანონში „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ ეწერა. ამ სიტყვებმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, რადგან ეს რელიგიურად მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევა. შეიძლება, ადამიანი მრუში იყოს, მაგრამ იმ რანგში არ გადის, რაც სოდომ-გომორია.

**— ამ ცვლილებებს მხარი დაუჭირეთ და ერთი წლის შემდეგ გაგახსენდათ, რომ თურმე „უკანონობა“ დააკანონეთ?**

— „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. თუკი ვინმე ამაზე ხმას ათი წლის მერე მაინც ამოიღებს, ესეც კარგი იქნება. სინანულის უფლება არ მაქვს? — კანონებში იურისტები ვერ ერკვევიან და უგულავასთან დაკავშირებით ერთი ერთს ამბობდა, მეორე — მეორეს. მათ თავები პროფესიონალები და აკადემიკოსები ჰგონიათ, მაგრამ ურთიერთგამომრიცხავ რაღაცებს ლაპარაკობენ. ეკლესიას თავისი კანონიკე აქვს, სახელმწიფოს — კონსტიტუცია. მართმადიდებლობა სიყვარულს ქადაგებს და მის წინააღმდეგ არ უნდა წავიდეთ. საკითხის თაობაზე შიგნით ერთი რია-რია იყო და თემის განხილვა ყველა ეტაპზე უნდა მომხდარიყო. ცვლილებების წინააღდეგ მე და გედი ფოფხაძე გამოვდიოდით. საჭიროდ ჩავთვალე, რომ დარბაზში ვყოფილიყავი, ფოფხაძე კი არ შემოვიდა. ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი მქონდა, რომ კანონპროექტისთვის ხმა წინააღმდეგ მიმეცა.

**— პოზიცია რატომ შეიცვალეთ?**

— დავინახე, რომ საეკლესიო პირები კარგ ხასიათზე მიდიოდნენ და თქვეს, რომ კანონში ყველაფერი „გამოშიგნული“ იყო. შეცდომაში შევედი. თამაზ მეჭიაური მოწმეა, რომ ცვლილებებს არ ვეთანხმებოდი. მაშინ ვინმეს ჩემთვის კარგად რომ აეხსნა, რომ კანონში „გენდერული იდენტობა“ და „სექსუალური ორიენტაცია“ რჩებოდა, მას ხმას არ მივცემდი. გარეთ გავედი და გეგონებოდათ, პარლამენტის შენობასთან ატომური ბომბი ისროლეს — აქციაზე არავინ აღარ იყო. ამან შინაგანი რწმენა მომცა, რომ ყველაფერი კარგად იყო. კენჭისყრის დროს ვთქვი, რომ პულტს ხელს არ მივაჭერდი და არც მივაჭირე. ცვლილებებმა 114 ხმა მიიღო, უკვე მნიშვნელობა არაფერს აღარ ჰქონდა და გუნდურობიდან გამომდინარე ვთქვი, რომ შედეგისთვის ჩემი ხმაც მიეთვალათ. ამ გადმოსახედიდან რომ ვუყურებ, გადაწყვეტილებას ვნანობ. ამით თავს არ ვიმართლებ, მაგრამ ერთი წლის მანძილზე, თუკი სადმე ეკლესიასთან გავიარე, ვერსად ვერ შევდიოდი.

**— თავის დროზე, ცვლილებებს მხარი იმის გამო ხომ არ დაუჭირეთ, რომ მსგავსი მითითება ბიძინა ივანიშვილისგან მიიღეთ? ცნობილია, რომ ყოფილი პრემიერის მოწოდების გარეშე, ამ კანონპროექტს ხმას არ აძლევდით...**

— ისეთ შეხვედრას არასოდეს დავსწრებივარ, სადაც ივანიშვილმა რაღაცა დაგვაძალა. როცა გუნდი იკრიბება და გადაწყვეტილების მიღება ხდება, იქ შეთანხმება მიიღწევა, დეტალებს კი არ მოგიყვებით. შეიძლება, ბევრ რაღაცას არ ვეთანხმებოდე, მაგრამ ეს გუნდს სჭირდებოდეს. ეკლესიაში რომ დავდივარ, საყვედურს არავინ მეუბნება, მაგრამ შინაგანი განცდა მქონდა, რომ ამ კანონზე ჩემი სიტყვა მეთქვა.

**— თქვენ თქვით, რომ პარლამენტმა მამათმავლობა დააკანონა, თუმცა, შეგიძლიათ, მითხრათ, ამ ცვლილებებმა რა პრობლემები შექმნა? განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები რაიმე პრობლემებს გიქმნიან? თუკი არ გაწუხებენ, მათ წინააღმდეგ რატომ იბრძვით?**

— მათ წინააღმდეგ არ ვიბრძვი. ცხოვრებაში შეჩვენებული ვიყო, თუკი ერთი გრამით მათდამი აგრესია მქონდეს და ისინი მეზიზღებოდნენ. კარიერას რომ ვიწყებდი, მე და ლიკა ქავჟარაძე მოკლემეტრაჟიან ფილმში მთავარ როლებს ვთამაშობდით, სადაც გადასაღებ მოედანზე, ჯგუფში ასეთი შვიდი ადამიანი იყო, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ რომელიმე მათგანს ბუზი ავუფრინე. ყველას თავის ცხოვრება აქვს, მაგრამ უკანონობა არ უნდა დაკანონდეს. იტალიაში ერთ-ერთი უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ჰომოფობია ფსიქოლოგიური დაავადება ყოფილა. თუკი მამათმავლობა არ „მევასება“, ეს შიშია, ან ჰომოფობიაა? საუკუნეების მანძილზე ამბობდნენ, რომ ეს დაავადება იყო, ხოლო ახლა დაადგინეს, რომ თურმე დაავადება ჰომოფობია ყოფილა. ჰომოფობი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ მკვლევარებს რომ ვენდოთ, თუკი გეი აღლუმები და ერთსქესიანთა ქორწილი არ მოგწონს, მაშინ ბნელი, ჩამოსახრჩობი და სამკურნალო ხარ. ერთ მშვენიერ დღეს ხომ შეიძლება, რომ გეი მაფიოზებმა ქალისა და მამაკაცის სიყვარული ანომალიად გამოაცხადონ და გვიმკურნალონ? — მამათმავლობის პროპაგანდა ბავშობიდან ხდება. სკოლებში სექსოლოგიის საგნის შეტანა იგეგმება და მინდა, რომ ამ საკითხს კარგად გავეცნო. თუკი გადახრა აქვთ, ამას სხვას თავზე რატომ ახვევენ? თანაგუნდელების მხარდაჭერაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ცვლილებებისთვის ნდობის გამოცხადება ბარამიძეს ვთხოვე, რომლის მიმართაც ჩემი დამოკიდებულება მთელმა საქართველომ იცის. თუკი ბარამიძე ამ კანონპროექტს მხარს დაუჭერს, ის ჩემი მეგობარი იქნება.

**— გულწრფელი ხართ? — ამას იმიტომ გეკითხებით, გვახსოვს, ბარამიძეს წიხლი როგორ ჩაარტყით...**

— რა თქმა უნდა. მეგობრობა იმ ადამიანს შევთავაზე, რომელიც ეჭვმიტანილია მკვლელობაში, სოფლის აოხრებასა და აფრასიძეების ოჯახის ამოხოცვაში. მთავრობასა და პროკურატურას ვეკითხები, ეს ადამიანი დღემდე დაკითხული რატომ არ არის? აყალმაყალი რომ ავტეხე, ეს საკმარისი არ იყო, რომ ის დაეკითხათ? ბარამიძე ადამიანების მკვლელობაშია ეჭვმიტანილი და ისინი არანაირ ნაბიჯს არ დგამენ, მაგრამ თუკი ის ცვლილებებს მხარს დაუჭერს, მას ხელს ჩამოვართმევ. მე რომ წიხლებს მაქნევინებენ, საქმეს რატომ არ აკეთებენ? ვიკივლო და შარვლიდან ამოვხტე, ბარამიძე რომ დაკითხონ?

**— ეკა ბესელიამ თქვა, რომ მამათმავლობა არ დაგიკანონებიათ. შესაბამისად, როგორ ფიქრობთ, თქვენს მიერ მომზადებულ კანონპროექტს გუნდის მხარდაჭერა ექნება?**

— ამაზე მაშინ ვიკამათოთ, როცა პროცესი დაიწყება. ბესელიას განცხადებით გამოაშკარავდა, რომ შეთანხმებული არავისთან ვიყავი და ჩემი პოზიცია გავაჟღერე. შანსი გვეძლევა, რომ შეცდომა გამოვასწოროთ და არჩევანი გავაკეთოთ. კანონპროექტი მომზადებულია და ვნახოთ, ვინ რა პოზიციაზე იქნება. იქნებ, მეც ვცდები და ამიტომ განხილვების დროს ის ადამიანები უნდა მოვიწვიოთ, რომლებიც ამ საკითხებში კარგად გათვიცნობიერებულნი არიან.

**— თქვენ ამბობთ, რომ ცვლილებები თქვენი მორალიდან გამომდინარე მოამზადეთ, მაგრამ ვინაიდან, ამ კანონის მიღება ცხარე კამათის ფონზე მოხდა, თქვენი სულიერი სიმშვიდის გამო, ახალი ქაოსი უნდა წარმოიშვას?**

— ჩემი განცხადებით ტვირთი ჩემს ოჯახს მოვხსენი. ერთი წელია, თავს დამნაშავედ და უხერხულად ვგრძნობ. უფლება ხომ მაქვს, რომ ჩემი აზრი გამოვხატო?

**თეონა მანაგაძე**

## ინფორმაცია თემაში

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი კოალიციიდან შესაძლო გასვლის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს. როგორც დეპუტატმა განაცხადა, კოალიციის დატოვებას არ აპირებს.**

**„კოალიცია არ დამიტოვებია და ამის გაკეთებას არ ვაპირებ. ზოგადად ანტიდისკრმინაციული კანონი არის ძალიან ფაქიზი თემა და მას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ამიტომ საკითხს განვიხილავთ, ვილაპარაკებთ და ვნახოთ“, — განაცხადა სოსო ჯაჭვლიანმა.**

## სამართალი

# რამდენ კაცს აჩერებენ ციხეში უკანონოდ?

**საერთო სასამართლოებს არ მოეპოვებათ სტატისტიკა, თუ რამდენი ბრალდებული იმყოფება ამ დროისთვის ციხეში წინასწარი პატიმრობისთვის განკუთვნილ 9-თვიან ვადაზე მეტი ხნით. „ინტერპრესნიუსმა“ უზენაესი სასამართლოსგან შესაბამისი საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა, საიდან ოფიციალური პასუხი მიიღო:**

**„სასამართლოებში ცალკე არ აღირიცხება იმ პირების რაოდენობა და ვინაობა, რომლებიც ამ დროისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წინასწარი პატიმრობისათვის განსაზღვრული 9-თვიან ვადაზე მეტი ხნით იმყოფებიან. შესაბამისად, ამ ეტაპზე მოკლებულნი ვართ ინფორმაციის მოწოდების შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე დაიწყება მუშაობა და შეძლებისდაგვარად, სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პარალელურად მოგეწოდებათ ინფორმაცია“.**

# დაკავებულია მექრთამე დირექტორი



**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, სოფელ ქვემო ბოლნისის №1 საჯარო სკოლის დირექტორი ზაქირ მ. დააკავეს.**

**ზაქირ მ. მოქალაქეს, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ ხუთი კლასის განათლება, ყოველგვარი გამოცდების ჩაბარების გარეშე ცხრა კლასის დამთავრების დამადასტურებელი ატესტატის დამზადებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით მოითხოვა 500 აშშ დოლარი და წინასწარ აიღო 250 აშშ დოლარი. 2015 წლის 22 სექტემბერს ზაქირ მ-მ მოქალაქეს დაუმზადა ატესტატი და გამოართვა დარჩენილი 250 აშშ დოლარი, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს.**

**ჩადენილი დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

## კაკალ გულში

**● გუბერნატორი, სანჩო პანსაც კი იყო.**

**ნუ, თუ არ იყო, ხომ უნდა ყოფილიყო.**

**● რაც მე წუხელ „P. S.“-ში ვუყურე, „თავისუფალი“ უგულავა მორჩილი სათამაშო იყო „რუსთავი-2“-სა, რომელიც ასევე სათამაშოა ვიღაცის, ვინც, გუბერნატორი უძახე შენ და, თვითონაც სათამაშოა ვიღაცის ბინძურ ხელში.**

**სათამაშოს სათამაშოს სათამაშომ, მხოლოდ სიბრალული შეიძლება გამოიწვიოს, თუმცა, გზადაგზა, ყველას პატრონის დედაც მო... და უპირატესად - სათამაშოების პატრონისა!**




**● „We will die as heroes“ - Tinatin Khidasheli, BBC HARD talk.**

**თინა ხიდაშელი უყვება შვილიშვილს:**

**რუსეთი რომ თავს დაგვესხა, მე სარდალი ვიყავი მაშინ, რუსებმა მე და დათო ბაბუ ერთად რომ დაგვხვრიტეს, ბებო გენაცვალოს!!!**

**● მერაბიშვილის სიდედრმა, ბიძინა რომ დაწყევლა, ეტყობა ვანოც მიაყოლა, თან მისი ძუძუები ლოცავდნენ!!!**

**● ახლა სერიოზულად მინდა მოგახსენოთ ჩემი აზრი ამ „დაპატიმრუშობებზე“:_სააკაშვილი გულაობს უკრაინაში, ადეიშვილი გულაობს უკრაინაში, კეზერაშვილი გულაობს ევროპაში, დათა ახალაია გულაობს ევროპაში, წუკლარა, გიგა, გოკაც გულაობენ თბილისში, ამ იგულავამ ასეთი რა იგულავა, რომ „შინდლერ-ნორლანდის სიაში“ ვერ მოხვდა?**

**ჩემი აზრით, ყველა ეს „მოღვაწე“ დამნაშავეა და თანაბარ სასჯელს იმსახურებს!!!**

ამოკრიბა

**გია გაბრიჭიძე**

# ფხიზლად დავდგეთ, თანამემამულენო!

**სრულიად საქართველო შეშფოთდა. უგულავას ათავისუფლებენ და ქვეყანა დაინგრევაო. უგულავას ზედა სართულზე ყველაფერი რიგზე რომ ჰქონდეს, ციხიდან გამოსვლას არც უნდა ესწრაფვოდეს. საპყრობილეში უფრო დაცული იქნება. თავისუფლებაში მას ხალხის რისხვა არ აცდება. ყოველ შემთხვევაში ნორმალური საზოგადოების მხრიდან მისდამი ამგვარი მოპყრობა, ბუნებრივია. ასევე უმჯობესი იქნება ყველა ანტინაციონალისთვის (მათებურად ნაციონალები) ხალხისგან იზოლირება.**

წლის ბოლომდე გამოჩნდება თუ რა დონეზე დგას ქართველი ხალხის გონიერება, პატრიოტული სულისკვეთება, გამბედაობა და რეალობის სწორი აღქმის უნარი. თუ საქართველოს მართლაც სურს მზის ქვეშეთში ადგილი სამარადისოდ დაიმკვიდროს, სრულიად უნდა ამოძირკვოს ანტინაციონალების (სააკისტები), ეგრეთ წოდებული არასამთავრობოების, არასაპარლამენტო პარტიების (ერთის გამოუკლებლივ) ფესვები.

გაიძახიან საარჩევნო კოდექსი დემოკრატიული უნდა გახდესო, მერედა, ვინ უნდა შევიდეს საქართველოს პარლამენტში? — უმეცარი კუკავა? თუნდაც მედროვე ბურჯანაძე, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის ფესვებზეა ამონაყარი და დასნებოვნებულია პოლიტიკური ახლომხედველობით? ან კიდევ თარგამაძის და გამყრელიძის ნარჩენები? აღარაფერს ვამბობ ბალათურიაზე, ვინაიდან ამ ინდივიდის შესახებ კარგად არის ცნობილი ქართველი საზოგადოებისთვის, როგორც პოლიტიკისთვის მეტად შეუფერებელი პირი. ნათელაშვილი ხომ ერის სახეზე მოუცილებელი შავი ლაქაა.

არ უნდა დასცინო ადამიანს, თუ კი ის გონებრივად ან ფიზიკურად არასრულყოფილია, ეს ყოვლად დაუშვებელია, მაგრამ თვითმფრინავის სამართავად ვერ დავსვამთ ისეთ ინდივიდს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ სპეციალობის მოთხოვნებს. უბრალო მძღოლის მოწმობას ვერ მიიღებს პირი, თუ მას ფსიქიატრისგან ასე ვთქვათ, დადებითი ცნობა არ ექნება. გამოცდილი ფსიქიატრი სახის გამომეტყველების მიხედვით ადვილად დაადგენს ალასანიას ინტელექტუალურ დონეს, რაც, რასაკვირველია, არ შეესატყვისება პოლიტიკოსის მოთხოვნებს. ეს სამედიცინო შემოწმების შედეგად მიღებული დიაგნოზი იქნება, რაც შესაბამისობაში მოდის მის პრაქტიკულ საქმიანობასთან. გავიხსენოთ ალასანიას გამონათქვამები და ქმედებები.

დასაფასებელნი არიან და ამიერიდან მათ ბატონობით მოვიხსენიებ ბატონ გიორგი თარგამაძეს და ბატონ დავით გამყრელიძეს, ვინაიდან, დარწმუნდნენ რა მათი საქმე არ იყო პოლიტიკა, თავი დაანებეს მათთვის შეუფერებელ სფეროს. კარგი იქნება, თუ ზემოხსენებული ფსევდოპოლიტიკოსები ამ ორი ინდივიდის მაგალითს ერის სასიკეთოდ გამოიყენებენ და დაუყოვნებლივ ჩამოშორდებიან პოლიტიკას. ქართველმა ხალხმა უნდა აიძულონ ეგრეთ წოდებული რესპუბლიკელები, რათა არჩევნებში „ოცნებიდან“ გამოცალკევებულებმა მიიღონ მონაწილეობა.

გამოსარკვევია, პირველად ვინ „დაახეთქა“ მამალი ტყუილი, თითქოს რესპუბლიკელები ინტელექტუალები არიან. რესპუბლიკელებს ისე ვერ ასწავლი ნამდვილ პოლიტიკას, როგორც ჩლიქოსანს ხეზე ასვლას. თუ ისინი შემეპასუხებიან და მეტყვიან — დიახაც პოლიტიკოსები ვართო, მაშინ მათ ასეთ კითხვას დავუსვამ და მიპასუხონ — 1. რომელი პოლიტიკურ–ეკონომიკური ფორმაცია შეესატყვისება საქართველოს დღევანდელობას? დასახელების შემდეგ მისი ვარგისიანობა დაამტკიცონ მეცნიერულ–ფილოსოფიურად და სამყაროსეული გაგებით. ძირითადად რა ეკონომიკურმა ფაქტორებმა გამოიწვიეს საქართველოში კრიზისული მდგომარეობა? პრობლემები დაყონ პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტ პრობლემებად; დაწყებული 1918 წლიდან დღემდე გააანალიზონ პოლიტიკური მოვლენები და შეაფასონ ამ პერიოდში მოღვაწე პოლიტიკოსების საქმიანობა. რა ეწოდება საბჭოთა კავშირში დამყარებულ წესწყობილებას?

რასაკვირველია, ასეთი კითხვები მათთვის უცხო ხილია და მათგან არ ველი დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას. მაგრამ არ შემიძლია არ შევეხო მათ ერთ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. როგორც ცნობილია, საბჭოთა პერიოდის საქართველოს პოლიტპატიმრებს თვრამეტი წლის წინათ დაენიშნათ, ასე ვთქვათ გაზრდილი პენსია. ეს პენსია იყო ჯილდო მათი პატრიოტული საქმიანობისთვის და არა ყველა რეპრესირებულისთვის მისაღები შეღავათი. მოგეხსენებათ, ეროვნული მოტივით საქართველოდან 1944 წელს გაასახლეს დაახლოებით ასი ათასი სული. ამჟამად ისინი გამრავლდნენ და შეადგენენ ოთხასი ათას სულს, რომლებიც ითხოვენ საქარ-



თველოში დაბრუნებას და კომპენსაციას. კომპენსაცია კი უნდა გასცეს რუსეთის ფედერაციამ და არა საქართველომ, ვინაიდან ის არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე. ეს მეტად მარტივი იურიდიული მოვლენა ვერ გაარკვიეს „ცნობილმა იურისტებმა“ უსუფაშვილხიდაშელის მეთაურობით და პრეზიდენტ შევარდნაძისგან დაჟინებით მოითხოვეს ხელი არ მოეწერა კანონზე, რაც ითვალისწინებდა ხსენებული პოლიტპატიმრებისთვის ჯილდოს სახით პენსიის მომატებას, მანამდე სანამ ზემოთ ხსენებული ოთხასი ათასი ადამიანი არ დაკმაყოფილდებოდა ბინით, მიწის ნაკვეთით, ავეჯით და გაზრდილი პენსიით (ამას ითვალისწინებს კანონი, რაც მიიღეს პოლიტპატიმრების ჯილდოს სახით შეღავათის გასაცემად), რაც საერთო ჯამში სახელმწიფოს დაუჯდებოდა დაახლოებით 15 მილიარდი ლარი. ამ უკანონო მოთხოვნას წინ აღუდგნენ საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმრები და გაიმარჯვეს. მეორე მხარეს იდგნენ სააკაშვილი და მისი დამქაშები, არასამთავრობოები, ამ არასამთავროების სულისჩამდგმელები — ხიდაშელი და უსუფაშვილი. ვიტყოდი, გააბრიყვეს და მთელი ეს ანტისახელმწიფოებრივი ქმედება შემდგომში აჰკიდეს ნინო ბურჯანაძეს, რომელმაც საკადრისი საყვედური დაიმსახურა პოლიტპატიმრებისგან. თვითონ ბურჯანაძეს, ალბათ, კარგად ახსოვს ის ცუდი განცდა, რაც მან მიიღო ამ საყვედურის შედეგად. მაშინ ხუმრობით ამბობდნენ — საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმრებმა ქვეყანა იხსნეს 15 მილიარდი ლარის ზარალისგან და ერთი მილიარდი ლარი პრემია მაინც ეკუთვნითო.

ქვეყანაში ყოველთვის იქნებიან უცხო ქვეყნის აგენტები, შპიონები, საბოტაჟის მომწყობი ადამიანები. მათი გამოვლენა და დასჯა ხელისუფლებისა და ხალხის ერთობლივი ქმედებით არის შესაძლებელი. ყველაფრის ხელისუფლებისთვის მინდობა დაუშვებელია. აქ მიყურადებლის პოზა არ უნდა ავირჩიოთ. სამშობლო ყველასია — ხალხისა და ხელისუფლებისა. თუ მომავალ პარლამენტში კვლავ ვიხილავთ ანტინაციონალებს (სააკისტები) და არასაპარლამენტო პარტიის წარმომადგენლებს, საქართველო საერთო არეულობას თავიდან ვერ აიცილებს. კმარა მხარ-თეძოზე წამოწოლა და მოვლენების ტელევიზიით ყურება. თითოეული მოქალაქე ყველა მოვლენის მონაწილე უნდა იყოს და გარკვეული წვლილი შეიტანოს ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში.

— ბატონმა ბიძინამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე განაცხადა, რომ სააკაშვილთან მუშაობას ვერ შეძლებდა. ამაზე სასტიკად განაწყენდა დასავლეთი და საქართველოს ხელისუფლებას თავს მოახვია ეგრეთ წოდებული კოჰაბიტაცია. ხალხს კი ჰგონია, ეს ყველაფერი ხელისუფლების ნება იყოო. სწორედ ასეთ ვითარებაში ქუდზე კაცი უნდა გამოსულიყო და მხარი დაეჭირა ივანიშვილის სამართლიანი განცხადებისთვის. ხალხმა კი დუმილის პოლიტიკა აირჩია. ერთი კაცი ვერაფერს გახდება. გულივერი ხომ არ არის. ამჟამად შეცდომას ნუღარ დავუშვებთ და სააკისტები, არასაპარლამენტო პარტიები სანამ გონს მოვიდოდნენ, მანამ საპროტესტო გამოსვლებისკენ ხალხს მოვუწოდოთ, რათა ზემოხსენებულ ფსევდოპარტიებს ქუჩაში გამოსვლის სურვილი დავუკარგოთ.

თუ ქართველი ხალხი ზემოხსენებულ ფსევდოპოლიტიკოსებს ნაადრევად განდევნის პოლიტიკური სარბიელიდან, ვინ მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა? სანთლით ძებნა უნდა დავუწყოთ ჭეშმარიტ ინტელექტუალებს და პოპულარულ ადამიანებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში. კარგი იქნება, თუ პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში შემოვა. ზოგი აცხადებს: პოლიტიკა სიმღერა ხომ არ არისო. დაბეჯითებით ვაცხადებ: ბურჭულაძეს მეტი გამჭრიახობა, ავტორიტეტი და ჭკუა აქვს, ვიდრე ზოგიერთი ფსევდოპოლიტიკოსს.

უკვე აშკარად შეიმჩნევა, ივანიშვილი თავის გუნდთან ერთად უნარიან ინტელექტუალებს დაეძებს მომავალი პარლამენტისთვის. ამგვარი ქმედება მოსაწონია. სანამ ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება, ინტელექტუალებმა ყველაფერი დროებით გვერდზე უნდა გადადონ და პოლიტიკის სფეროში იმოღვაწეონ.

შეიძლება, ვინმეს ასეთი კითხვა დაებადოს: თუ ევროპა და აშშ სააკისტებისა და არასაპარლამენტო პარტიების მხარეს არიან, როგორღა გავიმარჯვებთ? — 2012 წლის 1 ოქტომბერს დასავლეთი სააკისტების მხარეს იდგა, მაგრამ გავიმარჯვეთ. ხალხის ერთიანობას ვერაფერი გატეხს. მეტსაც ვიტყოდი: ლარის გაუფასურების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ისიც არის, რომ დასავლეთს სურს, სააკისტებმა და მასთან საერთო ინტერესების მქონე პარტიებმა გაიმარჯვონ, ამიტომ ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით ისეთ ვითარებას გვიქმნის, რომ ლარმა დევალვაცია განიცადოს. გამოდის, რომ ისინი არაკეთილმოსურნენი არიან. ინტეგრალური პოლიტიკის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არაკეთილმოსურნენი კეთილმოსურნეებად აქციო. დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება აუცილებელია. თუ ჩვენ უახლოეს მომავალში ზემოხსენებულ პარტიებს პოლიტიკური სარბიელიდან განვდევნით, აშშ და ევროპა იძულებული გახდებიან გამარჯვებულთან ითანამშრომლონ. ასევე საჭიროა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება.

**ონისე მწარიაშვილი**

## დღეს — ხვალისთვის

### აზიის განვითარების ბანკმა სესხი დაგვიმტკიცა

**აზიის განვითარების ბანკმა (ADB) საქართველოს დასახმარებლად 75 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი დაამტკიცა, რათა დაეხმაროს მთავრობის რეფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავს დანაზოგებისა და შიდა რესურსების გაზრდას და საინვესტიციო შესაძლებლობების შექმნას შემოსავლების არათანაბარი განაწილების კუთხით არსებული პრობლემის გადასაჭრელად.**

**„პროგრამა მხარს დაუჭერს მთავრობის სამოქმედო გეგმას, რათა მეტი თანხები გახდეს ხელმისაწვდომი სოციალური დაცვის პროგრამებისა და მცირე ბიზნესისათვის რეგიონში შექმნილი ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელების ფონზე“, — განაცხადა ADB-ის ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის სახელმწიფო მართვის მთავარმა სპეციალისტმა ტარიკ ნიაზიმ.**

**აზიის განვითარების ბანკის ინფორმაციით, 2004-2014 წლებში საქართველოს ეკონომიკის საშუალო წლიური მაჩვენებელი 5.8%-ით გაიზარდა, მაგრამ რეგიონში და რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელებამ მთავრობა აიძულა, ნახევარზე მეტად, 2%-მდე შეემცირებინა 2015 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი.**

**ADB-ის ცნობით, პროგრამა კიდევ უფრო გააძლიერებს მთავრობის ეკონომიკურ პოტენციალს ვალის მართვის კუთხით პროცესების გააქტიურების, გამჭვირვალობის გაზრდისა და საშუალოვადიანი ვალის მართვის სტრატეგიის დანერგვის გზით.**

### 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაახლოებით 10 მილიარდი იქნება

**ამის შესახებ მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ ფინანსთა მინისტრმა განაცხადა. ნოდარ ხადურმა მედიას 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები გააცნო, თუმცა, იქამდე ბიუჯეტის პროექტი მთავრობის სხდომაზე განიხილეს.**



**მომავალი წლის ბიუჯეტი დაგეგმილია შემდეგ პარამეტრებზე — ეს არის 3-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა, 3-პროცენტიანი საბიუჯეტო დეფიციტი და დაახლოებით 4-4,5-პროცენტიანი ინფლაცია, რაც გათვალისწინებულია ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკით. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მომავალ წელს, პირველად საქართველოში, საშემოსავლო გადასახადის დიდი ნაწილი დარჩება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები იქნება დაახლოებით 8,5 მილიარდი, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და ხარჯები კი დაახლოებით 10 მილიარდი ლარი (9,9 მლრდ ლარი).**



**ქიბარ ხალვაშის სარჩელის საფუძველზე, „რუსთავი-2“-ის ქონება ერთი თვეა დაყადაღებულია. თუმცა, ეს ხელს არ უშლის არხის მუშაობას. „რუსთავი-2“-მა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და მოსამართლე ურთმელიძის აცილება მოითხოვა, ასევე, ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა მოითხოვს, რომ, საზოგადოების მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე, მათი საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოში სამმა მოსამართლემ განიხილოს. რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო, ეს ალბათ, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.**

**სასამართლო განხილვის თარიღის მოლოდინშია. ქიბარ ხალვაშის ადვოკატი პაატა სალია, რომლის განცხადებით სასამართლომ გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადებში უნდა მიიღოს და ამ შემთხვევაში, ეს არის 20-დღიანი ვადა.**

# ქიბარ ხალვაში თავისი უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას ითხოვს

**— ტელეკომპანიამ სასამართლოს ის განჩინება გაასაჩივრა, რომლის მიხედვით დაყადაღებულია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წილები. რამდენად შესაძლებელია სამი მოსამართლით უზრუნველყოფის ღონისძიების განხილვა?**

— თეორიულად, ეს შესაძლებელია, თუმცა, რამდენად არსებობს ამის აუცილებლობა, სასამართლოს გადასაწყვეტია. ერთი მოსამართლე იქნება თუ სამი, საჩივარს პირველი ინსტანციის სასამართლო განიხილავს თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო, ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან ვთვლი, რომ ჩვენი მოთხოვნები არის სწორი და სამართლებრივად დასაბუთებული.

**— ბატონო პაატა, რა ხდება ამ სასამართლო დავასთან დაკავშირებით?**

— ჯერჯერობით სასამართლოს მხრიდან სიახლეები არ გვაქვს. მოგეხსენებათ, რომ აგვისტოს დასაწყისში სარჩელით მივმართეთ სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, როგორც დროებითი ღონისძიება, მოვითხოვეთ „რუსთავი-2“ -ის წილების, მისი მოძრავი და უძრავი ქონების დაყადაღება. ასევე მოვითხოვეთ „რუსთავის-2“-ის პარტნიორებისთვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვა, რაც დაკმაყოფილდა. ამ განჩინებით ჩვენ ნაწილობრივ უარი გვეთქვა გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

**— კონკრეტულად, რა ნაწილში არ გაიზიარა თქვენი მოთხოვნა სასამართლომ?**

— სასამართლომ უარი გვითხრა ლოგოს გამოყენების აკრძალვაზე, იმ ლოგოსი, რომელიც ქიბარ ხალვაშის მეშვეობით შეიქმნა, რაც ჩვენ გავასაჩივრეთ. შესაბამისად, სასამართლომ უნდა იმსჯელოს როგორც „რუსთავი-2“-ის და მისი მფლობელების საჩივარზე, ასევე ჩვენს საჩივარზეც. ველოდებით სასამართლოს გადაწყვეტილებას.

**— მაშინ, რას ეფუძნება ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის ზაალ უდუმაშვილის განცხადება — „რუსთავი-2“-ის საჩივრის განხილვის 20-დღიანი ვადა ამოიწურა, თუმცა, გადაწყვეტილება მიღებული არ არის“. უდუმაშვილი ამბობს, განსაკუთრებული იურიდიული განათლებაც არაა საჭირო იმისთვის, რომ მიხვდე, როგორი თეთრი ძაფით ნაკერ საქმესთან გვაქვს შეხება...**

— სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, შესაბამისად, ვერ გეტყვით რატომ კეთდება წინასწარ ასეთი კომენტარები. სასამართლომ გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადებში უნდა მიიღოს, ამ შემთხვევაში ეს არის 20-დღიანი ვადა. ერთმნიშვნელოვნად იმის მტკიცება, რომ ვადები დარღვეულია, არ არის მართებული და ნაადრევია. ჩვენც ასევე ველოდებით, როდის შეგვატყობინებს სასამართლო განხილვის თარიღს.

რაც შეეხება ბატონი უდუმაშვილის განცხადებას, რომ სასამართლო არის მიკერძოებული, რომ საქმე თეთრი ძაფით არის ნაკერი, რომ საქმეს იხილავს ე.წ. ზონდერ მოსამართლე, კეთდება განცხადება, რომ თუ მოსამართლე ტელეკომპანიისათვის არასასურველ გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს იქნება მისი პროფესიული სიკვდილი და ა.შ. ყველა ეს განცხადება შეიძლება აღქმული იქნას, როგორც სასამართლოზე ზეწოლა. თუმცა, ეს სასამართლომ უნდა შეაფასოს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტელეკომპანიის ქონების დაყადაღებიდან თითქმის თვეზე მეტია გასული, მაგრამ არანაირი შეფერხება ჩვეულებრივ საქმიანობაში მათ არ ჰქონიათ.

**— თუმცა, ისინი ამბობენ, რომ ფინანსური თვალსაზრისით ტელეკომპანიას პრობლემა ექმნება.**

— ალბათ, დამაჯერებლად უნდა დასაბუთდეს, რომ ისეთი კომპანია, როგორიც „რუსთავი-2“-ია, რატომ საჭიროებს ჩვეულებრივი საქმიანობის განხორციელებისათვის, მიმდინარე გადაცემებისა თუ ახალი პროექტების დაფინანსების საბანკო დაწესებულებისთვის პერმანენტულად მიმართვას. ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ თუ გარკვეული უზრუნველყოფის ღონისძიება (ყადაღა) ხელს უშლის მათ საქმიანობას, მზად ვართ, შემხვედრი ნაბიჯები გადავდგათ.

**— შემხვედრ ნაბიჯში რას გულისხმობთ?**

— თუ სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის დროებითი ღონისძიება ტელეკომპანიას ხელს შეუშლის, ჩვეულებრივ განახორციელოს საქმიანობა, ამ შემთხვევაში მზად ვართ, გარკვეულწილად უარი ვთქვათ ჩვენს მოთხოვნებზე, ან შევცვალოთ ისინი, მაგრამ რაიმე დამაჯერებელი მტკიცებულება, რომ მაუწყებლობას საფრთხე ექმნება, ამ ეტაპამდე წარმოდგენილი არ ყოფილა. მათ სასამართოში წარადგინეს საჩივარი, რომლითაც ითხოვენ ყველა გამოყენებული უზრუნველოყოფის (ყადაღის) გაუქმებას, მათ შორის წილების გასხვისების აკრძალვის გაუქმებასაც, რაც მიგვაჩნია, რომ აბსოლუტურად დაუსაბუთებელია.



**— მოტივად რას ასახელებს ტელეკომპანია?**

— მოტივად დასახელებულია ზუსტად ის, რაც განაცხადა ბატონმა უდუმაშვილმა, რომ ისინი ვერ შეძლებენ გადაცემების დაფინანსებას და ამიტომ უნდა გუქმდეს ყადაღები. ეს არის ძირითადი დასაბუთება მათი მხრიდან, რაზეც ჩვენ გვაქვს ჩვენი პასუხი, რომელსაც წარვადგენთ სასამართლოში ამ საკითხის განხილვისას.

**— ნიკა გვარამიას განცხადებით, დავა, რომელიც დაიწყო ხალვაშმა, სასაცილოა, ამიტომაც ხალვაშის მოგების შანსი საკამოდ დაბალია. თქვენ, როგორც საქმის ადვოკატმა, თუ შეგიძლიათ თქვათ, დავის მოგების რა შანსები აქვს ყოფილ მესაკუთრეს?**

— წინასწარ რთულია საუბარი იმაზე, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო, მაგრამ შანსები რომ არ გვქონდეს, სასამართლოს არ მივმართავდით. ვფიქრობთ, რომ არსებობს როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი საფუძვლები, რომ გადაწყვეტილება ჩვენს სასარგებლოდ იქნას გამოტანილი და სწორედ ამიტომაც მივმართეთ სასამართლოს.

**— უნდა შევეხოთ თემას, რომელიც ცდება სამართლებრივ საკითხს. თქვენ ამბობთ, რომ ხალვაში არის კეთილსინდისიერი მყიდველი, მას წაართვეს ქონება და ამიტომაც დავობს სასამართლოში, მაგრამ რატომ ხდება ამ სასამართლო დავის დაკავშირება ყოფილი მესაკუთრის ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობასთან?**

— ეს არის აბსოლუტურად უსაფუძვლო განცხადება და გარკვეულწილად არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას. არ შეიძლება დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო ვარაუდები გამოყენებული იქნეს პიროვნების დისკრედიტაციისთვის და მცდარი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის. არანაირი კავშირი ამ დავას ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებასთან არ აქვს. ქიბარ ხალვაშმა ჯერ კიდევ 2008 წელს მიმართა პროკურატურას და იმ პერიოდიდან ითხოვს თავისი ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას.

**— გვარამიას თქმით, მაქსიმალური, რასაც ქიბარ ხალვაშმა შესაძლოა, მიაღწიოს, ეს არის კომპენსაცია, რომელიც უნდა გადაუხადოს სახელმწიფომ, ან იმ პირმა, ვინც რამე წაართვა. თუმცა, სახელმწიფო მაშინ იყო სწორედ გვარამია, სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“, რომლებმაც იძულების წესით წაართვეს ტელეკომპანია. როგორ ფიქრობთ, რა კომპენსაციაზე საუბრობს გვარამია?**

— ეს, ალბათ, ბატონ გვარამიას უნდა ჰკითხოთ. ქიბარ ხალვაშს უკანონოდ დაათმობინეს წილები, მას არანაირი საზღაური არ მიუღია. შესაბამისად, ჩვენ ვთვლით, რომ არსებობს სამართლებრივი საფუძველი იმისათვის, რომ წილები, რომლებიც უკანონოდ დაათმობინეს, დაუბრუნდეს ქიბარ ხალვაშს. ეს არის სასამართლო დავა, რომელსაც თავისი წესები აქვს, მოთხოვნა დაყენებულია წილების დაბრუნების სახით. კომპენსაციაზე საუბარი არ არის.

**— თუმცა, თავისთავად საინტერესოა, რა არგუმენტები აქვს გვარამიას, როდესაც აცხადებს, რომ შესაძლებელია ხალვაშმა მიიღოს კომპენსაცია?**

— არანაირ კომპენსაციაზე საუბარი არ ყოფილა. რატომ ფიქრობს ბატონი გვარამია ასე, ჩემთვის უცნობია. ამ ეტაპზე, ამ კუთხით მოთხოვნა დაყენებული არ არის.

**— რა კავშირი აქვს ამ სასამართლო დავასთან ხელისუფლებას? ამას გეკითხებით იმიტომ, რომ „რუსთავი-2“-ს ხელმძღვანელობა და „ნაციონალური მოძრაობა“ ამტკიცებენ, რომ ხალვაშმა ხელისუფლების დავალებით, კერძოდ კი ივანიშვილთან კონსულტაციის შემდეგ, დაიწყო სასამართლო დავა წილების დაბრუნებასთან დაკავშირებით...**

— ქიბარ ხალვაშს არავისთან არ გაუვლია კონსულტაცია, ეს ადამიანი ითხოვს თავისი უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას. სხვათა შორის, ანალოგიურად ითხოვდა წლების განმავლობაში და ითხოვს ამ მთავრობისგანაც თავისი უკანონოდ ჩამორთმეული სხვა ქონების დაბრუნებას. მეტიც, ჩვენ სარჩელი შეტანილი გვაქვს სტრასბურგის სასამართლოში და უახლოეს მომავალში ველოდებით გადაწყვეტილებას.

**თამთა ქარჩავა**

## ალიან-ჩალიანი

### მიყვარს საქართველო და მინდა, ქართველ ბავშვებს დავეხმარო

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში ებრაელი პროფესორები 5 წლამდე ასაკის პატარებს ურთულეს ოპერაციებს უტარებენ.**

**ოპერაციებს აკეთებენ: თელ-ავივის უნივერსიტეტის საკლერის სამედიცინო სკოლა-ფაკულტეტის პროფესორი, ისრაელის ბავშვთა მთავარი ქირურგი ისხაკ ვინოგრადი, ჰაიფას რამბარის კლინიკის ბავშვთა ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი რან შტეინბერგი და ისრაელში ცნობილი ბავშვთა ნეიროლოგი ტამი შტეინბერგი.**

**ებრაელი პროფესორები ქართველ კოლეგებთან რამაზ კუტუბიძეს, ავთო კუტუბიძეს და მერაბ ბუაძესთან ერთად ერთი თვიდან 5 წლამდე ასაკის ბავშვებს ოპერაციებს უფასოდ უტარებენ.**

**ოპერაციები 21 სექტემბერს დაიწყო და დღემდე 11 ოპერაცია გაკეთდა. ოპერაციები საქართველოს პრეზიდენტის ფონდმა დააფინანსა სამედიცინო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.**

**პატარებს ოპერაციები გაუკეთდათ მსხვილ ნაწლავზე და ღვიძლზე თანდაყოლილი პათოლოგიების გამო.**

**როგორც ებრაელმა პროფესორმა ისხაკ ვონოგრადმა განაცხადა, იგი უკვე 14 წელია, საქართველოში ოპერაციებს პერიოდულად ატარებს. მას 100-ზე მეტი ოპერაცია აქვს უანგაროდ გაკეთებული.**

**„მიყვარს საქართველო და მინდა, ქართველ ბავშვებს დავეხმარო“, — დასძინა პროფესორმა ისხაკ ვინოგრადმა.**

### მობინადრეთა პრობლემები მოგვარდა

**ფოთში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მობინადრეებს დაზიანებულ სახურავს შეუკეთებენ. გორგასლის ქუჩის მეათე კორპუსის მცხოვრებლებს დაზიანებული სახურავის პრობლემა წლების მანძილზე აწუხებდათ. მათ ფოთის მუნიციპალიტეტს დახმარებისათვის მიმართეს.**

**ქალაქის ხელმძღვანელობის დავალებით, მუნიციპალიტეტის მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურმა აღნიშნული საცხოვრებლის სახურავის მდგომარეობა შეისწავლა და დაზიანებული სახურავის რეაბილიტაციისთვის რესურსი გამონახა. სახურავის დაზიანებულ ადგილზე ამორტიზებული, ძველი გადასახური მასალა ახალი, რელიეფური ფურცლით შეიცვალა და მობინადრეთა პრობლემაც მოგვარდა.**

**ინტერპრესი**

№179. ხუთშაბათი, 24 სექტემბერი, 2015 წელი.




# უფრო მეტი ნატო საქართველოში!

**ახლახან საქართველოში გახსნილმა ნატოს წვრთნისა და შეფასების ცენტრმა საზოგადოებაში დიდი პოლიტიკური ვნებათაღელვა გამოიწვია. მოკლედ, რას აღარ იგონებენ, რომ ჩვენთვის მაპის მოცემა, რაც შეიძლება შორს გადასწიონ. ადრე იმით გვამხნევებდნენ, რომ მაპზე უკეთესი დაპირება გვქონდა, ახლა კი ალიანსის საწვრთნელი ცენტრიც გაგვიხსნეს. პირველ ხანებში, თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრი რომ გახდა, ვარშავის სამიტისგან მაპის უცილობლად მიღებას მოითხოვდა, ახლა შედარებით დაიმორცხვა, ამბობს, მთავარი მაპის მიღება კი არა, ნატოში გაწევრების გზაზე დადგომააო. არადა, ამ გზას რახანია ვადგავართ, მაგრამ საწადელს ვერ მივაღწიეთ.**

ვერ გეტყვით, ნატოსკენ მიმავალმა ახალმა კურსმა რამდენად გაამხნევა, ან სულაც განწყობა წაუხდინა პრორუსული ორიენტაციის ქართველ პოლიტიკოსებს, მაგრამ ოთხმოცს გადაცილებულ ზაქრო პაპას რომ სული აუფორიაქა, ამას პირადად შევესწარი. მართალია ზოგს ის მიხრწნილად ეჩვენება, მაგრამ ფაქტია, რომ ამხნის კაცი გამოუსწორებელი ოპტიმისტია. სხვამ რაც უნდა ილაპარაკოს, ზაქრო თავს ბედნიერად თვლის, რომ მოხუცებულობის ასაკში დამოუკიდებელ და წარმატებულად რეფორმირებულ საქართველოში მოუწია ცხოვრებამ. ამ პენსიამაც რომ იბარტყა? თავის დროზე აბა რას წარმოიდგენდა, რომ მოქკავშირის ბატონობის შემდეგ ნაცები, მერე კი ქოცები მოექცეოდნენ ქვეყნის სათავეში და საცოდავ 14-ლარიან პენსიას 160-ლარიანად აქცევდნენ. მართალია, ამ 160-დან 190 ლარი მედიკამენტებში ეხარჯება, მაგრამ უცხოური მაღალკალორიული წამლებით ისეა დაპურებული, რომ საჭმლისკენ საერთოდ აღარ იყურება.

ერთადერთი აუხდენელი ოცნება, რაც ბერიკაცს მაჯლაჯუნასავით აწევს და ღამღამობით ძილს უფრთხობს, ნატოში საქართველოს შეუღწევლობაა. ღვიძავს თუ ძინავს, ზაქრო პაპა ერთთავად იმის ნატვრაშია, ღმერთმა ისე არ ინებოს მისი იმქვეყნად გასტუმრება, რომ ნატოში შესვლის წყურვილი არ დაიკმაყოფილოს. განა საიქიოში არ ესიამოვნება ამის გაგება, მაგრამ ურჩევნია იქ აქედანვე გულდამშვიდებული გაემგზავროს.

ამის მომენტი თითქოს რეალურად დაუდგა კიდეც ბერიკაცს, როცა საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ნატოს თავკაცი და აქ ალიანსის საწვრთნელი ცენტრი საკუთარი ხელით გახსნა, მაგრამ ამანაც ისევე, როგორც მისმა წინამორბედებმა, ზაქრო პაპას იმედი გაუცრუა. ნატოს „გენსეკმა" საქებარი სიტყვები არ დაიშურა საქართველოს ხელისუფლების მისამართით, რომლის დაუღალავმა ღვაწლმა, მისი თქმით, კიდევ უფრო მიაახლოვა ქვეყანა ალიანსში გაწევრების სანუკვარ ოცნებას. მობრძანდით, ნატოს კარი თქვენთვის ყოველთვის ღია იყო და ახლა უფრო ფართოდ გაიღებაო, — დაგვაიმედა საპატიო სტუმარმა.

ზაქრო პაპა აბა შეკამათებას რას გაუბედავდა ალიანსის მთავარ სარდალს (მას დიდი რუსეთიც კი მოკრძალებით ელაპარაკება), მაგრამ მისი მსჯელობით გაკვირვებული და ერთგვარად დაბნეულიც კი დარჩა.

— კაცოო, — წაუმუჯლუგუნა კომპიუტერთან გვერდულად მჯდომ შვილიშვილს, — გამაგებინეთ რანაირად არის მოწყობილი ეს ნატოს კარი, რო ერთდროულად ღიაც არის და დახურულიც?

— ეტყობა, ძალიან ვიწროა, პაპი, ან ძალიან დაბალი და ვერ ვეტევით, — გაიჭყანა სტუდენტი შვილიშვილი.

— როგორ, კაცო, თავის დროზე იმხელა გერმანია და საფრანგეთი თუ გაეტივნენ, ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა?

— მე სახელმწიფოზე კი არა, პაპი, კაცზე გეუბნები, — ხო გახსოვს, თავის დროზე მიშა როგორ ბულა ხარივით მიიწევდა ნატოს კარის შესამტვრევად, მაგრამ ეტყობა, მაღალი რო იყო, თავის შერტყმისა შეეშინდა და გამობრუნდა.

— შერტყმისა? — შეეჭვდა მოხუცი, — მიშასთვის ეგ არაფერია, შვილო, მას ბევრჯერ და ბევრი რამისთვის შეურტყამს თავი, მაგრამ არასოდეს არ სტკენია და არც ტვინი შერყევია (ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ჰგონია).

— არა, მე უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, — დააზუსტა ბიჭა, — რომ ნატოს კარი მოკლეა და ჩვენი „მაღალო" ვერ გაეტია.

— აბა რას ამბობ, შვილო, — გაჯიუტდა ზაქრო პაპა, — მიშამ საითაც მოისურვა, ყველგან შეეტენა (თვით უკრაინაში ოდესის გუბერნატორადაც კი) და რაღა ნატოს კარში ვერ შეეტია? აქ მე მგონი, სხვა რამეშია საქმე.

— მაინც რაში? — დაინტერესდა შვილიშვილი.

— როგორ თუ რაში? ვერ ატყობ, შვილო, რა ხდება ამ ტრიალ სამყაროში. მართალია, ჩვენ ვერ შევედით ნატოში, მაგრამ სამაგიეროდ, ნატო შემოვიდა საქართველოში.

— ეგ საიდან დაადგინე?

— თავად გენსეკმა თქვა: ახლა უფრო მეტი ნატოა საქართველოში და უფრო მეტი საქართველო ნატოშიო, — არ მოისმინე?

— მაგრამ საინტერესოა, კონკრეტულად რამდენი ნატოა საქართველოში და რამდენი საქართველო ნატოში?

— ეგ აღარ უთქვამს.

— რატომ, ხომ არ იცი?

— ეტყობა, ამ საიდუმლოს რუსეთს უმალავენ. პუტინმა რო შეიტყოს, უფრო მეტი ნატოა საქართველოში, ვიდრე საქართველო ნატოში, ხო იცი მაგის ამბავი, მაშინვე დაგვარტყამს.

— მაგრამ როდემდე დაუმალავენ? ოდესმე მაინც გაიგებს სიმართლეს და დავიღუპებით, — შეწუხდა შვილიშვილი, — რა უნდა ვქნათ, პაპი?

— სწორედ მაგაზე ვფიქრობ, როგორც ჩანს, ნატოში წერილის გაგზავნა მომიწევს.

— რის მიწერას აპირებ?



— რა თქმა უნდა, პუტინზე ცუდს არაფერს ვიტყვი, ჩვენი მთავრობა რუსეთთან ურთიერთობას ალაგებს და არ მინდა ხელი შევუშალო. უბრალოდ, ნატოელებს გავაფრთხილებ, რომ წლეულს სასტიკად ცივი ზამთარია მოსალოდნელი და საშიში ვირუსი რომ არ აიკიდონ, მუდმივად მოღიავებული კარი დროებით მაინც მიხურონ. ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, ვიდრე რუსეთი ნატოში გაწევრებას თავადაც არ მოისურვებს.

**ოთარ ხუციშვილი**

---

## ◎ დღის ჭირ-ვარამი

### ავღანეთში ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა



**ავღანეთში, „მტკიცე მხარდაჭერის" მისიის შესრულების დროს ქართველი სამხედრო მოსამსახურე, საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზებული ბრიგადის 43-ე ბატალიონის პირველი კლასის რიგითი ვასილ გელას ძე ყულჯანიშვილი დაიღუპა.**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს ვასილ ყულჯანიშვილის ოჯახს. როგორც სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, ამ მძიმე წუთებში თავდაცვის სამინისტრო დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახის გვერდით დგას და ღირსეულად მიაგებს პატივს ჯარისკაცის ხსოვნას**

**პირველი კლასის რიგითი ვასილ ყულჯანიშვილის გარდაცვალების გამო სახელმწიფო დროშები დაუშვეს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებსა და მეოთხე მექანიზებული ბრიგადის ბაზაზე.**

**ამასთან, პატრულირების დროს დაიჭრა საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზებული ბრიგადის 43-ე ბატალიონის სერჟანტი პაატა ზაურის ძე როსტობაია. 43-ე ბატალიონის მთავარი სამხედრო ექიმის განცხადებით, სერჟანტ პაატა როსტობაიას მდგომარეობა სტაბილურია. დაჭრილი მკურნალობას ბაგრამის საავიაციო ბაზაზე არსებულ აშშ-ის არმიის მთავარ სამხედრო ჰოსპიტალში გადის. დაშავებული ქართველი სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.**

**ამის შესახებ მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა და ფინანსთა მინისტრს შესაბამისი საკითხის მომზადება დაავალა.**

**„ქალბატონო თინა, მინდა გთხოვოთ, რომ დაღუპული ჯარისკაცის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ორგანიზება თქვენ გააკეთოთ. ასევე, მინდა ფინანსთა სამინისტროს დავავალო, რომ უზრუნველყოს კანონით განსაზღვრული 100 ათასი ლარის გამოყოფა ოჯახისთვის, კომპენსაციის სახით. ეს მართლაც ძალიან დიდი დანაკარგია ჩვენთვის. მინდა, კიდევ ერთხელ მოგისამძიმროთ ყველას", — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.**

**მთავრობის სხდომაზე დაღუპულ ჯარისკაცს პატივი მიაგეს.**

### საქართველო-საფრანგეთის ბიზნესფორუმი

**საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და საფრანგეთის ბიზნესკონფედერაციის — MEDEF — ორგანიზებით პარიზში ბიზნესფორუმი ჩატარდა. საქართველოს დელეგაცია ვიცე-პრემიერის, საგარეო საქმეთა მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით პარიზში იმყოფება.**

**ღონისძიებას საფრანგეთის ბიზნესკონფედერაციის პრეზიდენტი ჟან ბურელი მასპინძლობს და მისი მიზანია საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების ფრანგული ბიზნესსაზოგადოებისათვის გაცნობა და მათი კონკრეტული პროექტებით დაინტერესება.**

**ფორუმის ფარგლებში ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და MEDEF-ს შორის ასევე ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ინფორმაციის რეგულარულ გაცვლასა და ბიზნესღონისძიებებისა და შეხვედრების ორგანიზებაში ურთიერთთანამშრომლობას ითვალისწინებს.**

### რუსეთი ე. წ. სამხრეთ ოსეთის დაფინანსებას უზრდის

**2015 წელს რუსეთმა ოკუპირებული სამხრეთ ოსეთისთვის ფინანსური დახმარება 700 მილიონი რუბლით გაზარდა. როგორც „ტასი" იტყობინება, ამის შესახებ რუსეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრ ხლოპონინმა რუსეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში მოქმედ სამთავრობოთაშორის სხდომაზე განაცხადა.**

**დაფინანსების მოცულობამ 3,6 მილიარდი რუბლი შეადგინა.**

**ინტერპრესი**

---

## ◎ უჟაირათობა

### დღისითაც გაჩახჩახებული რუსთავი!...

**— ბატონო გივი, ნუ დაიზარებ, ერთი გამზირზე ჩამოიარე, ამ შუადღისას ეგრეა გაჩახჩახებული, ნერვები მოგეშლება, მარტო დღეს რომ იყოს, კიდევ არაფერი, ასე იყო გუშინაც, იმის წინაც, ჩვენი ფულები აბა რაში ენაღვლებათ. — ფორიაქობდა ჩემი ძირძველი მეგობარი ვიტალი ალექსის ძე, რუსთავის მოჭირნახულე, ძველი თაობის კაცი, მშობლიურ ქალაქზე ზრუნვით გაჭაღარავებული. ყოველთვის მეხმიანება ხოლმე, რაიმე უკეთურობას თუ წააწყდა.**

**ამჯერად 12 სექტემბერს დამირეკა. მეც მერიის პრესცენტრში დავრეკე. იქ მითხრეს, რაღაცას აკეთებენო, მაგრამ ქალაქში რომ გავიარე, ამჯერად არა გამზირზე, არამედ მე-11 საჯარო სკოლის უბანში, იქაც გაჩირაღდნებული ლამპიონები შემოგეგებება. თვით თაკარა მზეზე უფრო მოგიზგიზენი. რა ჰქენი, ვინმეს ხომ არ დაურეკე, — მკითხა ვიტალიმ, — შუქი ისევ ანთია, ამდენი ფული წყალში იყრება. ეგ ნაციონალი ირმა ნადირაშვილი აგერ ახლა ტელევიზორში ენაგესლაობს, თუ რამ კარგია, აშავებს, ხელისუფლებას ლანძღავს, ასეთების თანადგომითაა, ენერგომამები დენს რომ გვიძვირებენ. ქვეყანას თავზე გვამხობენ, 9 წელი ხომ იბაირამეს, ციხეები უდანაშაულო ადამიანებით აავსეს... 140 ათასი კაცი, ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის სარეკორდო რაოდენობის პატიმარი ჰყავდათ და ამით თავს იწონებდნენ. ახია ჩვენზე, ამ ხელისუფლებას უნიათოს რომ ეძახიან.**

**— დამშვიდდი ძმაო ვიტალი, ნერვებიც და მობილურის ფულიც დაზოგე, — შევეცადე დამემშვიდებინა.**

**არადა, რამდენია დღეს ამ ნაციონალებისგან ნერვებმოშლილი, შეურაცხყოფილი, გაბითურებული ადამიანი, რომლებიც მიშისტებს ებრძოდნენ, ზამთარ-ზაფხულ მიტინგებზე იდგნენ, სიცოცხლეს სწირავდნენ. ისევ ნაციონალებისგან არიან სიცოცხლეგამწარებულნი.**

**ვიტალის მეორე ზარმა მთავარ თემას გადამახვევინა. ისე კი, ქუჩები დღისით მეტისმეტად რომ ჩირაღდნდება ეგ ერთი, მეორეც, გათენდება, მზე საკმაოზე აიწევს, გაჩირაღდნებული ქუჩები ისევ დიდხანს ბდღვრიალებს, შეღამებას არ აცლიან, ნათურები უმალ ინთება... ამ დროს ვინმე შეჭირვებულს, დენის გადასახადის გადახდა ერთი დღე თუ გადაუცდა, უმალ გამოურთავენ, ჩართვისთვის კი 2 ლარით დააჯარიმებენ.**

**მაინც რა ხდება, მეც ძალიან მაინტერესებს!**

**გივი ჯახუა**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ლარისთვის არ იღელვოთ...

**პირველად უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ქართული ეროვნული ვალუტის კურსი ოთხი თეთრით გამყარდა და 1 აშშ დოლარზე 2 ლარსა და 40 თეთრს შეადგენს. ლარის განმტკიცება გამოიწვია სავალუტო ინვესტიციამ, რომელიც ქვეყნის ეროვნულმა ბანკმა განახორციელა. ადრე, რამდენიმე თვის განმავლობაში, მიუხედავად კრიტიკისა მთავრობის მხრიდან, ეროვნული ბანკი დაჟინებით ამბობდა უარს ვალუტის გაყიდვაზე რეზერვებიდან. ბევრი მეთვალყურე საფინანსო რეგულატორის პოლიტიკაში ცვლილებას უკავშირებს შეხვედრას, რომელიც გაიმართა ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ირაკლი ქადაგიძესა და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შორის.**

კიდევ რამდენიმე საათის წინ ლარის კურსი დოლართან დამოკიდებულებაში რჩებოდა ისტორიული ფსკერის დონეზე, მაგრამ ქართული ეროვნული ვალუტის მორიგი ანტირეკორდი არ მოიხსნა. ბევრისათვის მოულოდნელად, ეროვნულმა ბანკმა განახორციელა ინტერვენცია, აუქციონზე გამოიტანა ამერიკის შეერთებული შტატების 40 მილიონი დოლარი. გაიყიდა დაახლოებით 27 მილიონი დოლარი, შედეგად ლარის კურსი ერთბაშად 4 თეთრით გამყარდა.

შესაძლო ინვესტიციის შესახებ წინა დღით პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებთან, აგრეთვე ეროვნული ბანკის პრეზიდენტ ირაკლი ქადაგიძესთან შეხვედრის შემდეგ. ღარიბაშვილმა მოუწოდა ყველას — ნუ შექმნიან აჟიოტაჟს ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით:

**„ამჟამად მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე, არ უნდა მივეცეთ აჟიოტაჟსა და ემოციებს. დანარჩენ პროცესებს ჩვენ ეროვნულ ბანკთან ერთად გავაკონტროლებთ, და უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია სიტუაციის მოწესრიგება“.**

იმის შესახებ, რომ ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის მიღწეულია შეთანხმება ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე, განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი ქადაგიძემაც:

**„კურსი დღეს უკიდურეს წერტილშია. მიმდინარე პირობების შენარჩუნების დროს ჩვენ არ ველოდებით ზემოქმედებას (კურსზე). თუ იგი გაიზრდება, ჩვენ მზად ვართ, განვახორციელოთ უფრო აგრესიული მონეტარული პოლიტიკა“.**

მეთვალყურეები დაბნეულები არიან — მართლაც, რა მოხდა პრემიერისა და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის შეხვედრაზე. მთელი წლის განმავლობაში ქადაგიძე კრიტიკის ობიექტი იყო „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა მხრიდან, კერძოდ, მკაცრი პოზიციის გამო რეზერვების ხარჯვის საკითხში. მთავარ ბანკირს ბრალს სდებდნენ საბოტაჟში ყოფილი ხელისუფლების პარტიის — „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ. „ქართული ოცნება“ მივიდა იქამდე, რომ ეროვნული ბანკის შემადგენლობიდან გამოიყვანა საფინანსო მონიტორინგის სამსახური, შექმნა საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო.

ახალგაზრდა ფინანსისტებისა და ბიზნესმენების ასოციაციის ანალიტიკოსი პაატა ბაირახტარი დადებითად აფასებს საჯაროდ ქადაგიძისა და ღარიბაშვილის ერთდროულად გამოჩენას, მაგრამ ანალიტიკოსის აზრით, არ ღირდა ჩინოვნიკების დაგვიანებული ერთიანობის დემონსტრაცია აგვერია სავალუტო ინტერვენციაში.

**„საზოგადოებამ უნდა იცოდეს, სინამდვილეში რა ხდება. მთავრობამ უნდა გამოიჩინოს მეტი კოორდინაცია როგორც მუშაობაში, ისე მოსახლეობასთან ურთიერთობაში. მაშინ აჟიოტაჟიც აღარ იქნება. სიმშვიდე არ დამკვიდრდება დღევანდელი ოპერაციების გამო სავალუტო ბაზარზე. დიახ, სავალუტო რეზერვები არის იმისთვის, რომ ისინი დაიხარჯოს აუცილებელ სიტუაციაში. მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, დღეს ასეთი აუცილებლობა არაა“.**

აი ეკონომისტი დემურ გიორხელიძე ეროვნული ვალუტის კურსზე ასეთი გავლენის წინააღმდეგი არაა:

**„ეს არის ერთ-ერთი სტანდარტული მეთოდი (სარეზერვო ფონდის ხარჯვა) ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციისთვის. მე ამაში ვერაფერს სახიფათოს ვერ ვხედავ — ინვესტიციები უნდა იყოს მოფიქრებული, და ისინი უნდა განხორციელდეს სხვა ზომებთან ერთად: ინვესტიციების მოზიდვითა და ბიუჯეტის სერიოზული კორექტირებით“.**

მართალია, ხელისუფლება გვპირდება, რომ გადასინჯავენ ბიუჯეტს, თუმცა, ამის გაკეთებას არ ჩქარობენ. ექსპერტებს აინტერესებთ, კიდევ რა პუნქტებში მიაღწიეს შეთანხმებას მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა.




## დედამიწის ზურგზე



### პაციენტმა ყაზახეთში 12 წელი იცოცხლა მუცელში ოცსანტიმეტრიანი ქირურგიული ნაკერით

ახლა პენსიონერს განზრახული აქვს ქალაქ შახტინსკის საავადმყოფოდან ამოიღოს 30 მილიონი ტენგე (დაახლოებით 111 ათასი დოლარი), შესაბამისი სარჩელი უკვე შეტანილია სასამართლოში. დაზარალებულის სიტყვებით, მას სურს მიიღოს ასევე მილიონი ტენგე მატერიალური დანახარჯების დაფარვისათვის, დანარჩენი თანხა კი — მორალური ანაზღაურების სახით 12 წლის განმავლობაში ტანჯვის გამო.

### ბელგიის პარლამენტი „ოკუპირებულია“ აფეთქების საფრთხის გამო



ინციდენტის დეტალები ჯერჯერობით უცნობია. პოლიციელები ძაღლებით ათვალიერებენ ფედერალური პარლამენტის სათავსოებს. შენობაში შესვლა აკრძალულია. ამჟამად უკვე დადგენილია, თუ ვინ შეატყობინა მათ აფეთქების საფრთხის შესახებ.

### ეგვიპტე და საფრანგეთი აწარმოებენ მოლაპარაკებას შვეულმფრენმზიდ „მისტრალის“ გაყიდვის შესახებ, რომელიც რუსეთისთვის იყო გათვალისწინებული

ეგვიპტის დელეგაცია ამჟამად პარიზში იმყოფება. მაგრამ მოლაპარაკებები მიდის ძალიან მკაცრი. საფრანგეთმა შვეულმფრენმზიდებისათვის დააწესა ფასი, რომელსაც ეგვიპტელები გაზრდილად მიიჩნევენ. ვარაუდობენ, რომ დავები მხარეებს შორის გაგრძელდება ოქტომბრის ბოლომდე.

### ყირიმის ბლოკადა: გამტარ პუნქტებთან უკრაინის მხრიდან გაგზავნეს სპეცნაზი, აგებულია „თავდაცვის“ ორი ხაზი

როგორც კიევის ხელისუფლება აცხადებს, სიტუაცია საზღვარზე „კარდინალურად იცვლება“ — მანქანები უკვე რამდენიმე ათეულია. ბევრი მძღოლი დაარწმუნეს — დაბრუნდნენ უკან და წავიდნენ მატერიკის სიღრმისკენ, რათა არ შექმნან საცობები და კონფლიქტური სიტუაციები „მოპროტესტეებთან“.

### უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ამტკიცებს, რომ რუსეთი მონაწილეობდა „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკების მომზადებაში

„იმათი ოდენობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ვინც ამჟამად ისლამური სახელმწიფოს მხარეზეა, — ეს სადამის არმიის ყოფილი მებრძოლები არიან. რუსეთი მათ შესანიშნავად იცნობს. მან კარგად იცის მათი მენტალიტეტი. იგი მნიშვნელოვანწილად ამზადებდა კიდეც მათ“, — განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა პაველ კლინკინმა.

### ობამა პაპ ფრანცისკს თვითმფრინავის ტრაპთან შეხვდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ექვსდღიანი ვიზიტის დროს, როგორც ელოდებიან, პაპი შეეცდება მიიტანოს თავისი გზავნილი იმის შესახებ, რომ ძალა და სიმდიდრე უნდა ემსახურებოდეს სამართლიანობას და ეხმარებოდეს ღარიბებს. თვითმფრინავში კუბიდან ფრენის დროს ფრანცისკმა გამოთქვა იმედი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გააუქმებს სავაჭრო ემბარგოს ჰავანის წინააღმდეგ.

### ჩინეთის უიგურებით დასახლებულ რაიონში უცნობ პირთა თავდასხმის დროს მაღაროში ხუთი პოლიციელი დაიღუპა

მოკლულთა და დაჭრილთა ოდენობა ზუსტად დადგენილი არ არის. ჩინეთის ხელისუფლება ინციდენტს, ტრადიციის მიხედვით კომენტარს არ უკეთებს, ცნობილია, რომ თავდასხმის შედეგად დაზარალდა სულ ცოტა 40 კაცი. პასუხისმგებლობას უიგურის სეპარატისტებს აკისრებენ.

### ეგვიპტის პრეზიდენტმა „ალ-ჯაზირას“ ჟურნალისტი შეიწყალა

ეგვიპტის პრეზიდენტმა აბდელფატაჰ ალ-სისიმ ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“ ჟურნალისტი, კანადის მოქალაქე მუჰამად ფაჰმი შეიწყალა.

როგორც „ბიბისი“ იტყობინება, ამნისტია მუსლიმურ დღესასწაულ „იდ ალ-ადჰასთან“ დაკავშირებით გამოცხადდა და 100 პატიმარს შეეხო.

პატიმრების უმრავლესობა სხვადასხვა დროს, არასანქცირებულ მიტინგებში მონაწილეობისთვის დააკავეს.

რაც შეეხება მუჰამად ფაჰმის, გასულ თვეს სასამართლომ მას სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ჟურნალისტს დეზინფორმაციის გავრცელებაში, ფაქტების დამახინჯებასა და დოკუმენტების ფალსიფიცირებაში ადანაშაულებდნენ.

### მოსკოვში ევროპაში ყველაზე დიდი მეჩეთი გაიხსნა

საზეიმო ცერემონიას რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი , პალესტინის ლიდერი მაჰმუდ აბასი, დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები და ათასობით მორწმუნე დაესწრო.

„რუსეთში მცხოვრები მუსლიმებისთვის ეს დიდი მოვლენაა“, — განაცხადა პუტინმა სიტყვით გამოსვლისას.

მოსკოვის მეჩეთში სარეკონსტრუქციო სამუშაოები ბოლო ათი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროექტის განხორციელებაზე 170 მილიონი დოლარი დაიხარჯა. 6-სართულიანი მეჩეთის კომპლექსი 19 ათას კვადრატულ მეტრზეა განთავსებული.

### ევროკავშირმა მიგრანტების გადანაწილების გეგმა დაამტკიცა

როგორც „ბიბისი“ იტყობინება, აღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ ევროკავშირის ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრები ბრიუსელში შეიკრიბნენ.

მიღებული გადაწყვეტილებით, ევროკავშირის



ქვეყნები 120 000 მიგრანტს კვოტირების სისტემით გადაანაწილებენ, აქედან 30 000 მიგრანტს თავშესაფარს გერმანია მისცემს.

კვოტირების სისტემით დევნილთა გადანაწილებას მხარი არ დაუჭირეს ჩეხეთმა, სლოვაკეთმა, რუმინეთმა და უნგრეთმა, ფინეთმა კი კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

გაეროს მონაცემებით, ევროპაში დევნილთა რაოდენობა 300 000 ადამიანს აღემატება.

### დიმიტრი პესკოვი - გერმანიის ტერიტორიაზე ამერიკული ატომური იარაღის განთავსების შემთხვევაში, რუსეთი საპასუხო ნაბიჯებს გადადგამს

როგორც „ტასი“ იტყობინება, ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა. მისი მოსაზრებით, ატომური იარაღის განთავსება ევროპაში სტრატეგიულ ბალანსს დაარღვევს და აიძულებს რუსეთს, ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად საჭირო ზომები მიიღოს. როგორც „დოიჩე ველე“ იტყობინება, აშშ ბუნდესვერის ავიაბაზა „ბიუხელზე“ ბირთვული იარაღის ახალი სახეობის განთავსებას გეგმავს. ამის შესახებ გერმანული ტელეკომპანია „ზიდიეფ“-ისთვის გახდა ცნობილი, რომელმაც შესაბამისი დოკუმენტაცია მოიპოვა.

№179. ხუთშაბათი, 24 სექტემბერი, 2015 წელი.

**განსჯა**



# ძირძველი თბილისელის ასრულებული ოცნება

**გამოუცნობი არის ბრძენი, ვერ გააღვიძებ ოსტატში მთვლემარ საიდუმლოს — ეს კანონია. წყლის საიდუმლო სამუდამოდ გაჰყვა ლაღიძეს, როგორც ტაბიძემ ლექსის ჯადო გაიყოლია.**

**ევგენი ევტუშენკო**

**ვერის უბანში, ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს" მოპირდაპირედ, ცნობილი ფეხსაცმელების მაღაზიის ადგილზე სამი წელია, „ლაღიძის წყლების" კოხტა კაფეა გახსნილი.** ერთ ციდა ოთახს, რომელსაც ამ დაწესებულების სულისჩამდგმელის „კაბინეტი" ჰქვია, პაწაწკინტელა თბილისურ ეზოში აქვს ფანჯარა. მაგიდას ორნი ვუსხედვართ (მეტი არც ადგილია და არც სკამი), მე და ბატონი **ირაკლი მირიანაშვილი.** ძირძველი თბილისელი, ვერის უბანში გაზრდილი, იმ დაუწერელ, ტრადიციადგადმოცემულ თბილისურ ადათ-წესებზე აღზრდილი კაცი, რომელსაც თურმე 87 წელი შესრულებია და შესაშური იერითა და მონდომებით ცდილობს თბილისელებს არ დაუკარგოს ის ლაზათი, რითიც დღევანდლამდე მოსულა ჩვენი თხუთმეტსაუკუნოვანი დედაქალაქი.

**„თბილისში, ამავე უბანში გავიზარდე. ჩვენი თაობის თავშესაყარი ზემელი და „ლაღიძის წყლების" მიმდებარე ტერიტორია იყო. აქ ვხვდებოდით, ვესიყვარულებოდით ერთმანეთს, ქალაქის ცუდსა და კარგს აქ ვიგებდით და ჩვენებური, თბილისური ურთიერთგატანითა და წესით ვაგვარებდით ყველაფერს. დიდებული მეგობრები მყავდა, ზოგი ახლაც შემოვრჩით ერთმანეთს ჩემი ხნის ხალხი. მე, თამაზ კალანდაძე და გიზო ნიშნიანიძე კლასელები ვიყავით, აი, თქვენი კოლეგა და ჩემი ძმაკაცი ჟანი სიხარულიძე თანატოლები ვართ, კოია გომართელი ჩემზე (ჩაფიქრდება და გააგრძელებს) სამიოდე წლითაა უმცროსი, თამაზ კალანდაძე, ზაზა კახიანი, დუმბაძე ნოდარი... ეჰ, რა დრო იყო. აი დუმბაძე ჩემი კლასელი იყო. ერთ დღეს სკოლაში არ მოვიდა. შევწუხდით. ბავშვები ვიყავით მაშინ, ერთ ღამეში დედ-მამა, ბიძა და მამიდა დაუჭირეს და გადაუსახლეს. ასეთი დრო იყო. ამ დრომ გვასწავლა ერთმანეთის სიყვარული, ურთიერთგატანა და გვერდში დგომა. თბილისმა გაგვზარდა. ჩვენც, როგორც შეგვეძლო, ისე ვეფერებოდით და ვეფერებით, ვინც შემოვრჩით ამ ქალაქს. იცი, შვილო, თბილისის სავიზიტო ბარათი იყო „ლაღიძის წყლები" და „ლაღიძის უკვდავი „თბილისო".**

მართლაც რა დამთხვევაა.

**„აქ „ლაღიძის წყლები" რომ გავხსენი, ჩემი ახალგაზრდობის ნოსტალგია და მონატრებისა არის. აბა „ლაღიძის წყლების" გარეშე თბილისს რა ეშხი ექნებოდა. იგივე ასორტიმენტია — ალუბალი, ლიმონი, მსხალი, ტარხუნა, შოკოლადის ნაღები, კახური. თან სულ ყველაფერი ნაღდია, თორნიკე ლაღიძე, მაგას ვენაცვალე, პაპის ტრადიციებს რომ აგრძელებს, იმის ქარხნისაა, ნატურალური წვენი. ზოგი ამბობდა, ლეგენდად დადის ესა, მიტროფანე ლაღიძეს რაღაც საიდუმლო ჰქონდა და არავის არ უმხელდაო. ტყუილია, შვილო, არავითარი საიდუმლო არ ჰქონდა, დეგუსტატორის სინდისი, საქმის ერთგულება და კეთილსინდისიერების თანდაყოლილი ნიჭი. ეგ იყო ადამიანისთვის ნატურალური ხილის წვენის მიწოდების საიდუმლო, თორემ ახლა უამრავი ესენციით ამზადებენ მთელ მსოფლიოში და ჩვენთანაც სასმელებს".**

დარბაზში ლეგენდარული მიტროფანე ლაღიძის პორტრეტია, იქვეა ჩარჩოში ჩასმული უამრავი პრიზებისა და სიგელების ასლები. ყველაზე საამაყო 1913 წელს პეტერბურგსა და ვენაში სასმელთა საერთაშორისო გამოფენაზე მოპოვებული ოქროსა და ვერცხლის მედლებია.

**„ბევრმა არ იცის ჩვენი დიდებული წინაპრის ქველმოქმედება. მიტროფანე ლაღიძე, ეს ჭოლევში დაბადებული აზნაურის შვილი მხოლოდ უალკოჰოლო სასმელების საქართველოში პირველდამფუძნებელი ჰგონიათ. მაგ კაცმა 1904 წელს ქუთაისში საფრანგეთიდან მიღებული კრედიტით, სხვათა შორის, ქუთაისის ბანკის მმართველის კირილე ლორთქიფანიძის დახმარებით, ელექტროსადგური ააშენა და ქუთაისი გაანათა. საქართველოში პირველმა აწარმოა ხელოვნური ყინული, ქუთაისში ბარიტის წარმოებას ჩაუყარა საფუძველი. სწორედ მიტროფანე ლაღიძის დახმარებაა ჩვენი მგოსნის აკაკი წერეთლის ბევრი წიგნის გამოცემაც. 1896 წელს ქუთაისში ამხანაგობის დაარსებაც, სადაც ქართული მწერლების წიგნები იბეჭდებოდა. აკაკი ხომ მიტროფანეს ვაჟის ნათლიაც გახლდათ. თბილისში გოლოვინზე (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტზე კავშირგაბმულობის სახლის ტერიტორიაზე) 1905 წელს უალკოჰოლო სასმელების ქარხანა გახსნა და ერთი წლის შემდეგ ცნობილი „ლაღიძის წყლების" მაღაზიაც. აი ასეთი კაცი გვყავდა, მსოფლიოში აღიარებული და მე რომ ნოსტალგია მქონდეს იმისა, რა გვქონდა და რას ვერ მოვუარეთ, გასაკვირი არც უნდა იყოს".**

ხალისით საუბრობს ჩემი რესპონდენტი, ძირძველი თბილისელი, ბატონი ირაკლის სიმდიდრე ის ასრულებული ოცნებაა, რომელიც ჩაიფიქრა, მეგობრების დახმარებით აისრულა და სააქციო საზოგადოება „ლაღიძის" გენერალური დირექტორის, ლეგენდარული მიტროფანე ლაღიძის შვილიშვილის თორნიკე ლაღიძის დახმარებით ფრთები შეასხა.

რა ვუყოთ, რომ ვერის უბანში ახალი „ლაღიძის წყლების" მიმდებარედ ვერსად მანქანას ვერ გააჩერებ, რათა უცებ, ფეხდაფეხ გაიგრილო გული თბილისის „სავიზიტო ბარათით", სამაგიეროდ, ამ სიამოვნების მისაღებად და გასული საუკუნის თბილისის გასახსენებლად ძნელი არ უნდა იყოს ორიოდ ნაბიჯის ფეხით გავლა, ფენოვანის, სხვა სახის ქართული ხაჭაპურის, ღვეზელის, პიცისა და უგემრიელესი „ლაღიძის წყლის" დაგემოვნება, მართლაც ყველასათვის იმ ლამაზ, თბილ, სტუმართმოყვარე თბილისში დროებით „გადასახლებას" ნიშნავს, რომლითაც ჩვენი მშობლები ამაყობდნენ მთელ ყოფილ საბჭოეთში.

იმ პატარა „საუფროსო კაბინეტში", სადაც ორი კაცი ძლივს დაეტევა, უზარმაზარი სული, სიყვარული, წარსულის მოგონება და თბილისური ლაზათი ტრიალებს, რომელსაც ასე უფრთხილდება ბატონი ირაკლი მირიანაშვილი და რომლის გაზიარებაც ყველა ჩვენგანისათვის საჭირო კი არა, აუცილებელიცაა.

**მამუკა ვაშაკიძე**





ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

**თვალსაჩინო სტატისტიკა**

# 10 ყველაზე მსხვილი უცხოური ინვესტიცია საქართველოში

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წლის II კვარტალში 355 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 81 პროცენტით აღემატება 2014 წლის II კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებს.**

**ინვესტიციების დიდი ნაწილი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მოდის. გთავაზობთ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში უცხოელი ინვესტორების მიერ განხორციელებული ყველაზე მსხვილი პროექტების ათეულს:**

**1. სავაჭრო კომპლექსი „ისთ ფოინთი"** — თბილისში კახეთის გზატკეცილზე საქართველოში ყველაზე დიდი სავაჭრო კომპლექსი გასულ კვირას გაიხსნა. კომპლექსი 85 000 კვადრატული მეტრის ფართობზეა გადაჭიმული. **„ისთ ფოინთის" საინვესტიციო ღირებულება 90 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.**

**2. თბილისის ზღვის ახალი უბანი — ეს არის „ჰუალინგის საერთაშორისო ეკონომიკური ზონის"** პროექტი, რომელიც მდებარეობს თბილისის ზღვის მიმდებარედ 420 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე. გეგმის მიხედვით, დამტკიცებული ფართის მშენებლობის დასრულება იგეგმება 10 წლის განმავლობაში, პირველი სამი წლის მინიმალურ საინვესტიციო თანხად განსაზღვრულია არანაკლებ 150 მილიონი აშშ დოლარი. პროექტი მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ კომპლექსს, საგარაკო სახლებს, ტურისტულ-დასასვენებელ ზონას, 5-ვარსკვლავიან სასტუმროს, საერთაშორისო სავაჭრო და ლოჯისტიკურ ცენტრს, საბაჟო საწყობს და ოლიმპიურ სოფელს. თბილისის ზღვის ახალი უბანი „ჰუალინგ ჯგუფის" ყველაზე მასშტაბური პროექტია საქართველოში.

**3. სასტუმრო „მერკური" თბილისში** — ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო „მერკური" ორთაჭალაში საერთაშორისო ჰოლდინგის — „მაქრო ქონსთრაქშენის" ინვესტირებით აშენდა. **პროექტში 16 მილიონი დოლარი ჩაიდო.** სასტუმრო „მერკური" მსოფლიოს 51 ქვეყანაშია წარმოდგენილი. თბილისში 2015 წლის ზაფხულში გაიხსნა.

**4. „ჯინო ფერედაისი"** — გასართობი ცენტრი და გრანდიოზული აკვაპარკი თბილისში. **პროექტში 28 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა.** ინვესტორია ნოდარ გიორგაძე, რომელსაც სლოვაკეთში აქვს ბიზნესი.

**5. „ტოიოტა ცენტრი თეგეტა"** — ცენტრი განთავსებულია 10 000 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე და მოიცავს ადმინისტრაციულ ოფისს, შოურუმსა და სერვისცენტრს. ცენტრი დღეში საშუალოდ 250 ავტომობილის მომსახურებაზეა გათვლილი. აღნიშნული პროექტი განხორციელდა „თიბისი ბანკისა" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით. **ცენტრში ინვესტირებულია 15 მილიონამდე ლარი,** დასაქმებულია 120 ადამიანი.

**6. საცხოვრებელი კომპლექსი „მწვანე ბუდაპეშტი" — საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში, საბურთალოზე** 11.700 $м^2$ ფართობის ტერიტორიას იკავებს. კომპლექსი ევროსტანდარტის იზოლირებულ კომპლექსს წარმოადგენს. **საერთაშორისო ჰოლდინგმა „მაქრო ქონსთრაქშენი" კომპლექსში თითქმის 45 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა.**

**7. „დირსი"** — ყველაზე მასშტაბური საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოში, რომელიც აერთიანებს 20 კორპუსს, 39 ბლოკსა და 4 898 ბინას დასრულებული რემონტით. მშენებლობის პირველი ეტაპი 2014 წელს დასრულდა, ხოლო მთლიანი კომპლექსი 2016 წელს ბარდება. პროექტის ინვესტიცია აზერბაიჯანულ კომპანია AS Group Investment-ს ეკუთვნის. საცხოვრებელი კომპლექსის პროექტში **170 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა.**

**8. „თბილისი მოლი"** — სავაჭრო ცენტრი თბილისში, რომელიც 2012 წელს გაიხსნა. „თბილისი მოლს" შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოფმენთი" მართავს, რომელიც თავის მხრივ, შპს „რაკიინ დეველოფმენთს" და IFC-ს (საერთაშორისო საფინანსო კომპანიას) ეკუთვნის. **„თბილისი მოლის" პროექტში 115 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა.**

**9. „რიქსოს ბორჯომი" — სასტუმრო და დასასვენებელი კომპლექსი ბორჯომში.** ინვესტორია შპს „ყაზმუნაიგაზ სერვისი". **ჯამურმა ინვესტიციამ 48 მილიონი დოლარი შეადგინა.** სასტუმრო 2014 წელს გაიხსნა და ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სასტუმროს წარმოადგენს საქართველოში.

**10. ფოთის პორტი - 2011 წლის აპრილში „ეიპიემ ტერმინალსმა"** საქართველოში ყველაზე დიდი პორტი — **ფოთის საზღვაო ნავსადგური შეისყიდა. კომპანიამ 70 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია ჩადო** პორტის ინფრასტრუქტურის განახლებისთვის. სამუშაოების ნაწილი უკვე დასრულებულია, ნაწილი კი 2018 წლისთვის დასრულდება.

**თამთა ჯიჯავაძე**

**რაგბი**

# დღეს დიდი ჯახია




**19 სექტემბრის მატჩის შემდგომ სამწვრთნელო შტაბმა აღდგენასა და ვიდეოანალიზს დაუთმო დრო და მორაგბეები მომავალი მეტოქეების თამაშს უყურებდნენ. დღეს ნაკრები იბრძოლებს არგენტინელ პუმებთან, რომელმაც წელს მსოფლიოზე სამხრეთ აფრიკას სძლია.**

ბორჯღალოსნები და პუმები ერთმანეთს სამჯერ შეებნენ – ორჯერ 2007 და 2011 წლის მსოფლიო თასებზე, ერთხელ – 2013 წელს სან ხუანში. სამივე შეხვედრაში გამარჯვება პუმებმა მოიპოვეს. ამას გარდა, სამჯერ ვითამაშეთ „იაგუარებად“ წოდებულ არგენტინის „ა“ ნაკრებთან, რომელთანაც პირველ შეხვედრაში 2009 წლის ნოემბერში 24:22 მოვიგეთ, ხოლო 2011 წელს ბუქარესტში და თბილისის თასზე ავჭალაში სამხრეთამერიკელებმა გაიმარჯვეს.

ბორჯღალოსნებს ბრისთოლის სპორტული აკადემიის მოედანსა და დარბაზში ორი ვარჯიში ჩაუტარდათ. ბორჯღალოსანთა ფლანკერის ვიქტორ კოლელიშვილის განცხადებით, მწვრთნელები ტონგასთან დაშვებულ შეცდომებზე მუშაობენ და ბიჭები არგენტინასთან უფრო მომზადებული იქნებიან. მისი თქმით, ტონგას დამარცხება მომავალი თამაშისთვის დიდ სტიმულს იძლევა და ორი მოსაგები მატჩიდან ყველაზე რთული ბიჭებმა გამარჯვებით გამოიარეს.

**ბეჟან დოლიძე**

**კალათბურთი**

# ცინცაძის 4 ქულა და 6 პასი სადებიუტო მატჩში




**გიორგი ცინცაძემ საფრანგეთში გადასვლის შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების გამთამაშებელი ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ფრანგულმა უმაღლესლიგელმა „გრაველინმა“ მიიწვია. ცინცაძე ახალ კლუბში 1 კვირის წინ გაემგზავრა და პირველ მატჩში მონაწილეობაც მიიღო.**

„გრაველინი“ ამხანაგურ მატჩში „ორლეანს“ შეხვდა და 55:77 დამარცხდა. როგორც ფრანგული კლუბის ვებ-გვერდი იუწყება, ცინცაძე და კლუბის მეორე ახალწვეული უენ მუკუბუ შეთამაშების პროცესში არიან და ეს მატჩი მათ კარგად გამოიყენეს. მუკუბუ 12 ქულით ბომბარდირი გახდა, ხოლო ცინცაძე 6-შედეგიანი გადაცემით – გრაველინელთა საუკეთესო მეპასე.

საფრანგეთის ეროვნული ჩემპიონატი ოქტომბერში იწყება. გრაველინელები პირველ ტურში 2 ოქტომბერს „რუანს“ დაუპირისპირდებიან, თუმცა, მანამდე მონაწილეობას მიიღებენ სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩში. 23 სექტემბერს „გრაველინი“ საფრანგეთის თასის 1/16 ფინალში „შალონს“ შეხვდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ლეგიონერი**

# ვარაუდი ასეთია: კვირკველია ინგლისის პრემიერლიგის დონეზე



**ყაზანის „რუბინისა“ და საქართველოს ნაკრების 23 წლის მცველი სოლომონ კვირკველია ბოლო წლების განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრესირებს. ინტერნეტპორტალმა** russianfootballnews.com**-მმა რუსეთის პრემიერლიგის სამი ფეხბურთელი გამოარჩია, რომლებსაც ამ ქვეყნის ჩემპიონატიდან ინგლისის პრემიერლიგაში და ზოგადად, ევროპის წამყვან საფეხბურთო ლიგებში კარიერის გაგრძელების ყველაზე დიდი შანსი აქვთ. ზემოხსენებულ სამეულში მოხვდა ჩვენებური ფეხბურთელიც.**

ჟურნალისტ დევიდ სანსუნის წერილს, რომელიც კვირკველიას შეეხება, აქვე გთავაზობთ.

საბა, როგორც მას თანაგუნდელები ეძახიან, თავისი გუნდის დაცვის ხაზის დომინანტია. მხოლოდ 23 წლის კვირკველია გასულ სეზონში „რუბინის“ საუკეთესო ფეხბურთელებს შორის მეხუთე ადგილზე იყო, მისი სტატისტიკური მონაცემები კი – ჩინებული. გასულ სეზონში 29 მატჩში 120 ვარდნა შეასრულა, ასეთი შედეგი კი ევროპის მასშტაბით ხუთ მცველს ჰქონდა.

გასაოცარია ამ ფეხბურთელის სისხარტე და სისწრაფე იმის ფონზე, რომ იგი ძალიან მაღალია. და ეს სიმაღლისა და სისწრაფის კომბინაცია მას აძლევს შანსს, კარიერა დასავლეთ ევროპაში გააგრძელოს. სულ მალე „რუბინი“ ევროპა ლიგაზე ინგლისურ „ლივერპულს“ შეხვდება და აქ მას კიდევ უფრო დააკვირდებიან. ამ მატჩში ბუკმეიკერთა მიერ რუსული გუნდი აუტსაიდერადაა შერაცხილი, თუმცა, მათ მხარეს დიდი კვირკველია იქნება, რაც „რუბინს“ დადებითი შედეგის მიღწევის იმედს უსახავს...

კვირკველიას გარდა, ხსენებულ სტატიაში მოსკოვის „სპარტაკის“ ჰოლანდიელი ფეხბურთელი ქვინსი პრომესი და მოსკოვის ცსკა-ს ებრაელი ნახევარმცველი ბიბრას ნათხო მოხვდნენ...

**კობა კობახიძე**

**პერსპექტივა**

# უკრაინა მზადაა, ევრობასკეტ-2017-ს ნაწილობრივ უმასპინძლოს

**უკრაინის კალათბურთის ფედერაციამ ევრობასკეტ-2017-ის ნაწილობრივ მასპინძლობასთან დაკავშირებით განაცხადი გააკეთა. აღნიშნულ ინფორმაციას უკრაინის კალათბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.**




ფიბა-ევროპას გადაწყვეტილებით, ევრობასკეტ-2017-ზე ეროვნულ ფედერაციებს საშუალება ექნებათ განაცხადი გააკეთონ როგორც მთლიანი ტურნირის მასპინძლობაზე, ისე მხოლოდ ერთი ჯგუფის შეხვედრების ჩატარებაზე. უკრაინულმა მხარემაც განაცხადი მხოლოდ ნაწილობრივ მასპინძლობაზე გააკეთა.

ევრობასკეტ-2017-ის მასპინძლის ვინაობას ევროპული და მსოფლიო კალათბურთის მმართველები ამა წლის 11-12 ნოემბერს დაასახელებენ.

შეგახსენებთ, რომ უკრაინას ევრობასკეტ-2015-სთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა, ფიბა-ევროპას გადააწყვეტინა, რომ ევროპის ჩემპიონატი ოთხ ქვეყანაში – ლატვიაში, საფრანგეთში, ხორვატეთსა და გერმანიაში ჩაეტარებინა.

**ბადრი იაშვილი**

**ფეხბურთი**

# ლევანდოვსკის ცხრაწუთიანი სასწაული



**„ვოლფსბურგის“ წინააღმდეგ მიუნხენის „ბაიერნის“ პოლონელი ბომბარდირის რობერტ ლევანდოვსკის თამაში ნაკლებად სავარაუდო გახლდათ.** დასავლეთსლავ ფორვარდს ტრავმა ბოლომდე მოშუშებული არა აქვს, ამიტომაც „რეკორდმაისტერის“ კატალონიელმა დამრიგებელმა პეპ გვარდიოლამ იგი თავდაპირველად სათადარიგოთა სკამზე დასვა და „ალიანს არენის“ მინდორზე მხოლოდ მას შემდეგ შეუშვა, რაც ბავარიელებმა „მგლებთან“ პირველი ტაიმი 0:1 დათმეს.

მეორე ნახევრის 9-წუთიან მონაკვეთში (51-60) კი ლევანდოვსკიმ მსოფლიო ფეხბურთის რეკორდი დაამყარა – მან დროის ამ მონაკვეთში 5 გოლი გაუტანა ვოლფსბურგელებს და ისტორიული შედეგი დაამყარა.

„წარმოუდგენელი რამ მოხდა! სიტყვები არ მყოფნის ემოციის გადმოსაცემად. 22 სექტემბერი ჩემთვის დაუვიწყარ თარიღად დარჩება“, – განუცხადა მატჩის გმირმა „ბაიერნის“ ოფიციალურ ვებგვერდს.

ლევანდოვსკის პენტა-თრიკს მიუნხენელთა კაპიტანი ფილიპ ლამი გამოეხმაურა: „შესვენების შემდეგ მინდორზე გამოვიდა ადამიანი, რომელმაც ყველაფერი გადაწყვიტა. ამასთან, რობერტს მეტოქის კარის აღების კიდევ 2 ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა და შეიძლებოდა მატჩი სულაც 7 გატანილი გოლით დაესრულებინა“.

„რობერტმა ჩვენ შეტევებს სიმწვავე შეჰმატა და საჭირო მომენტში ყოველთვის სათანადო ადგილას იყო, რათა პარტნიორების იერიში შედეგიანად დაესრულებინა“, – „ბაიერნის“ აღმასრულებელი დირექტორის კარლ ჰაინც რუმენიგეს ეს სიტყვები ასევე კლუბის ვებგვერდს მოჰყავს.

**გიორგი შოთაძე**

**ინტერნეტიდან**

# სულ სხვა ბელენი

**როდესაც არგენტინაზე საუბრის დროს ჩვენს ბაგეებს სიტყვა „ბელენი“ დასცდება, ბუნებრივია ყველას ასოციაცია დიდებულ არგენტინელ ლამაზმან ბელენ როდრიგესთან გვექნება და ფიქრნი ჩვენნი უწინარესად სწორედ იმ ბელენზე ილაციცებს, რომელმაც თავისი მკერდ-ბარძაყთა ციალით მთელი სამყარო გააოცა.**

თუმცა, ვითარცა ცაში ვარსკვლავნი არ დაილევა, ისე „ვერცხლის ქვეყანაში“ არ დაილევა ბელენად სახელდებული ლამაზმანნი და ამჯერად სულ სხვა ბელენზე, ახალგაზრდა არგენტინელ მოდელზე ბელენ ეტხარტიაზე უნდა გიამბოთ, რომელიც ერთ დროს არგენტინელი შემტევის ეზიკილ ლავესის გულის სწორიც კი ბრძანდებოდა.

ვერ ვიტყვით, რომ ბელენ ეტხარტია სამოდელო საქმეში დიდად წარმატებულია და მისი კარიერა ახლაღა შლის ფრთებს. ლავესთან დაშორების შემდეგ ბელენმა განაცხადა, რომ ფეხბურთი ძველებურად უყვარს და მისთვის სპორტის ეს სახეობა ოდენ ბურთის გორებაზე მეტია. ამ სიტყვების თქმა იყო და მისი პერსონით უმალ ყველა დაინტერესდა. იცის ქალმა თვითპიარი და შეეკითხეთ თუ გინდათ!



**როსტომ რაჭველიშვილი**

**ჩოგბურთი**

# ალექსანდრე მეტრეველმა ძირითადი ბადე გაიარა

**ქართველმა ჩოგბურთელმა ალექსანდრე მეტრეველმა იზმირის საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 64,000 ევროს შეადგენს, სამი ეტაპი დაუმარცხებლად გაიარა.** მან გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ავსტრიელი მაქსიმილიან ნეუჩრისტი დაამარცხა ანგარიშით – 7:5, 5:7, 7:5, ხოლო ძირითად ბადეში იტალიელ ერიკ ჩრეპალდის დაუპირისპირდა და მეტრეველმა პაექრობა სამ სეტში მოიგო – 6:4, 6:7, 7:6. ქართველი ჩოგბურთელი მერვედფინალში მიხალ კონეჩნისთან (ჩეხეთი) ითამაშებს.



ალექსანდრე მეტრეველი ამჟამად 418-ე ადგილზეა. ჩოგბურთელმა თურქეთში საკვალიფიკაციო ეტაპისა და ძირითადი ბადის პირველი წრის გავლით 13 სარეიტინგო ქულა მოიპოვა.

**ქართველ ჩოგბურთელ ვაჟთა საკვალიფიკაციო მაჩვენებლები ასეთია:**

ნიკოლოზ ბასილაშვილი – 561 ქულა, 418 (422).
ალექსანდრე მეტრეველი – (98) 891 (889).
გიორგი ცივაძე – (18) 1145 (1133) .
გიორგი ჯავახიშვილი – (7) 1402 (1396).
ალექსანდრე ბაკში – (3) 2058 (2052).
ირაკლი მეტრეველი – (1).

**მანუჩარ გიორგაძე**

# ამ ფილმით ბალტიისპირელები უკეთ გაგვიცნობენ

**ლატვიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეკომპანია TV1 საქართველოს ტურისტული ღირსშესანიშნაობების შესახებ გადაცემას ამზადებს.**

გადამღები ჯგუფი საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრესტურის ფარგლებში იმყოფება.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, მაღალრეიტინგული გადაცემის „Farmer wants wife"-ის ექვსმა ჟურნალისტმა მცხეთა, ყაზბეგი, წინანდალი, ყვარელი, სიღნაღი, ახალციხე — რაბათი და თბილისის ისტორიულ ნაწილი დაათვალიერეს და გადაიღეს.

ჟურნალისტები საქართველოს 19 სექტემბერს ეწვივნენ და ლატვიაში გუშინ გაემგზავრნენ.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 8 თვის მონაცემებით, ლატვიიდან საქართველოს 5480 საერთაშორისო მოგზაური ეწვია. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ზრდა 14%-ით მეტია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მეგობრის, კოლეგის, კაცობის ეტალონის, პროფესორ

**ტარიელ ქუთათელაძის**

გარდაცვალების გამო. სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას.

---

დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ სამაგალითო მამულიშვილის, გამორჩეულად სახიერი კაცის, მეგობრის

**ტარიელ ქუთათელაძის**

გარდაცვალების გამო. სამძიმარს ვუცხადებთ მის დიდ ოჯახს.

**ნათელა და ვახტანგ დავითაიები**

# ბორჯომ-ბაკურიანის ტყეებს მავნებლებისგან გადაარჩენენ

**ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ინვენტარიზაცია დასრულდა. პროექტი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ ბესარიონ აბაშიძემ ავსტრიის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად შეაჯამა.**

უწყების ინფორმაციით, 1998 წლის შემდეგ ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბანში ინვენტარიზაცია პირველად განხორციელდა. პროექტის ფარგლებში ტყის მართვის 10-წლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავდა, ასევე სატყეო დარგის სპეციალისტებისთვის საქართველოს ტყეებში გავრცელებული მერქნიანი სახეობებისა და ტყის მავნებელ დაავადებათა შესახებ გზამკვლევი მომზადდა.



„პროექტი 2 წლის წინათ დაიწყო და ის მიზნად ისახავდა კლიმატის ცვლასთან ადაპტირებული მდგრადი სატყეო მეურნეობის განვითარებას ბორჯომისა და ბაკურიანის რეგიონში. ქართველ კოლეგებთან მიღებულ შედეგებზე ვისაუბრეთ. ვფიქრობ, რომ ქართულ და ავსტრიულ მხარეებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობა შედგა", — განაცხადა ავსტრიის კვლევითი ცენტრის წარმომადგენელმა მიქაელ სუტერმა.

## ფოტოფაქტი



ლენინის 3,5 ტონის წონის თავი, რომელიც ბერლინის მახლობლად ტყეში აღმოაჩინეს, ადგილს გერმანიის დედაქალაქის ახალ მუზეუმში დაიკავებს. მასში შეაგროვებენ საკვანძო ფიგურებს, რომლებმაც გავლენა მოახდინეს გერმანიის ისტორიაზე.

## სწორი კვება

# თავის გადარჩენა თუ კეთილდღეობა?

**მეცნიერები კატეგორიულად აცხადებენ: სამი უმთავრესი მიზეზი, რომელთა გამო ჯანმრთელობას ვკარგავთ — ესენია ცხოვრების ნაკლებად მოძრავი წესი, არასწორი კვება და ალკოჰოლი. ამ შემთხვევაში მიზეზთა დასახელების თანმიმდევრობა საფრთხის დონის შესაბამისია.**



ბევრს ჰგონია, რომ ჭარბი წონა რატომღაც უფრო ევროპელთა და ამერიკელთა პრობლემაა, მაგრამ საქართველოში ჩატარებული ბოლო გამოკვლევებით დადგინდა, რომ ჩვენი მოსახლეობის დაახლოებით 53 პროცენტს ეს პრობლემა აქვს. მეტიც: ბოლო წლებში ჭარბი წონის 20 წელზე ახალგაზრდა ქალიშვილთა რიცხოვნობა მესამედით, ჭაბუკებისა კი თითქმის 50 პროცენტით გაიზარდა. ამის ძირითადი მიზეზი ის გახლავთ, რომ თანამედროვე ცხოვრების ტემპს აყოლილები, კომპიუტერებით, სმარტფონებითა და პლანშეტებით გართულნი, სწორი კვების ელემენტარული ნორმები გვაქვს უგულებელყოფილი და გამუდმებით ფეხზე დამდგარი რაღაცრაღაცებს, უმთავრესად, ცხადია, სწრაფი კვების (ანუ ფასტფუდის) პროდუქციას გეახლებით. უარყოფითი ქცევის ნეგატიური შედეგიც არ აყოვნებს, რის გამოც გულზე, თირკმლებზე, ღვიძლზე, სისხლძარღვებსა და სხვა ორგანოებზე დარტყმას დარტყმაზე ვიღებთ.

**— მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას სპეციალისტები ყოველდღიური კვების რაციონში 400 გრამი ხილისა და ბოსტნეულის შეტანას გვირჩევენ, რადგან ისინი არა მარტო ჯანსაღ ცილებსა და ნახშირწყლებს, არამედ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს — ფიტონუტრიენტებს შეიცავენ,** — ამბობს ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის ინსტიტუტის „Nutri-lite"-ს კვების სტრატეგიის სპეციალისტი **კეიტ რენდოლფი — მაგრამ, როგორც ბრიტანულ ჟურნალ „კვებაში" ჩვენი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებშია აღნიშნული, დედამიწის მოსახლეობის სამი მეოთხედი ამ ნორმას არ მიირთმევს.**

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთნი ხშირად თავს იმშვიდებენ: ვაშლის თუ პომიდვრის ნაცვლად ვიტამინებს დავლევ. ცხადია, რომ ბიოლოგიურად აქტიური დანამატები საჭირო ნივთიერებებით რაციონის შევსების კარგი ხერხია, მაგრამ არც ისინი, არც ვიტამინები უცბად ჯანმრთელს ვერ გაგხდიან, რადგან ჯანსაღი კვების მხოლოდ ერთ მდგენელს წარმოადგენენ.

— მთავარია, ადამიანმა ჯერ, რომ იტყვიან, „ცოცხალი" ხილი და ბოსტნეული მიირთვას, ვიტამინებით კი რაციონის შემდეგ „შეავსოს", — ამბობს დიეტოლოგი **თამარ ჯიმშელიძე**. — თანაც მნიშვნელობა აქვს როგორც საკვების ოდენობას, ასევე მის მრავალფეროვნებას, რადგან რაც უფრო ნაირ-ნაირ საჭმელს ვჭამთ, მით უფრო მეტად მდიდრდება მიღებულ სასარგებლო ნივთიერებათა პალიტრა.

დოქტორი რენდოლფი კვებასთან დაკავშირებით სამ ძირითად შეცდომას გამოყოფს, რომლებიც ბევრ ჩვენგანს მოსდის. **პირველი** ისაა, რომ ბევრნი კონსერვანტების შემცველ პროდუქციას ანიჭებს უპირატესობას, არადა, როგორც წესი, კვების ასეთი პროდუქტი არც აღარანაირ მცენარეულ კომპონენტს, არც უჯრედისს არ შეიცავს, შესაბამისად, ორგანიზმისთვის ის დიდი სარგებლის მომტანი არ არის.

**მეორე** შეცდომაა იმაზე დიდი ოდენობით შაქრის მოხმარება, რაც ორგანიზმისთვისაა საჭირო. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ეგრეთ წოდებულ „დაფარულ შაქარზე", რომელსაც ნაყინი, კანფეტები, ნამცხვარი და ა.შ. შეიცავს. გაზიანი სასმელები და პარკების წვენები ხომ სულაც „შაქრის ბომბებია".

**მესამე** შეცდომა კი ისაა, რომ ბევრი სურსათი ორგანიზმისთვის საჭიროზე მეტ ცხოველურ ცხიმს შეიცავს. მაგალითად, საქონლისა და ღორის ხორცში ცხიმი ბევრია, გარდა ამისა, ნაღები და ყველიც მისი ჭარბი ოდენობის წყაროა. ისევე, როგორც შაქარი, ცხიმიც, შესაძლოა, სხვადასხვა მზა სურსათში „დამალული" იყოს, მაგალითად, სალათების სხვადასხვა დანამატებში, საწებლებში, გამდნარ ყველში, კარტოფილის ჩიფსებში.

დიეტოლოგები, კვების სხვა სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ხორცი — ესაა ორგანიზმისთვის საჭირო ენერგიის წყარო, მაგრამ მინერალების, უჯრედისისა და ვიტამინების ჩინებული წყარო ასევე ხილი და ბოსტნეულია. მაგალითად, **ნარინჯისფერი და ყვითელი ხილი და ბოსტნეული სასარგებლოა თვალებისთვის, წითელი — გულისთვის, ლურჯი და შაბიამნისფერი — თავის ტკივილისთვის, მწვანეები აუმჯობესებენ უჯრედების ჯანმრთელობას, თეთრები — ძვლებისა და სახსრების**. თანაც, ვთქვათ, ვაშლის ან ატმის ჭამის შემდეგ თქვენ არც ზედმეტ შაქარს იღებთ, არც ცხიმს.

ამავე დროს მეცნიერები ხაზს უსვამენ იმას, რომ ბიოლოგიურად აქტიურ დანამატებს ჩვეულებრივი ხილი და ბოსტნეულიც შეიცავს, უბრალოდ, საქმე ისაა, რომ უმრავლესობა ჩვენგანი მათ საჭირო ოდენობით ვერ იღებს, ამიტომაც ზოგიერთ სურსათში მათ საგანგებოდ უმატებენ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სპეციალისტების მიერ შემუშავებული „ხუთი ნაირფერი ჯგუფის" კონცეფცია.

**ყველა ხილი და ბოსტნეული ფერის მიხედვით იყოფა, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა ტიპის ფიტონუტრიენტს შეესაბამება. მაგალითად, მწვანე ჯგუფში შედიან, კერძოდ, ვთქვათ, ისპანახი, ყაბაყი, მწვანე წიწაკა და სხვა, რომლებიც ლუტეინს შეიცავენ, მისი დეფიციტი კი თვალისჩინის დაკარგვას იწვევს; იისფერი ჯგუფის (ყურძენი, ლეღვი, ბადრიჯანი) ხილ-ბოსტნეული მდიდარია რესვერატროლით, რომელიც ხელს უწყობს ანტიანთებით მოქმედებას და კიბოს უჯრედების ზრდის შეჩერება შეუძლია. თეთრი ჯგუფის წარმომადგენლები (ხახვი, ნიორი, მსხალი) ორგანიზმს ალიცინით ამდიდრებენ, რომელიც დადებითად მოქმედებს გულის სისხლძარღვებზე, არეგულირებს წნევას, აძლიერებს იმუნიტეტს; ნარინჯისფერ ჯგუფში შემავალი ხილი და ბოსტნეული (ლიმონი, სტაფილო), ორგანიზმს ალფა და ბეტა-კაროტინებით — მძლავრი ანტიოქსიდანტებითა და იმუნოსტიმულატორებით ამარაგებენ, ხოლო წითელი ჯგუფის წარმომადგენლები (პომიდორი, საზამთრო, მარწყვი, წითელი ვაშლი) — ლიკოპინის, ანუ ისეთი ანტიოქსიდანტის „საწყობები" არიან, რომელსაც ონკოლოგიურ სნეულებათა განვითარების შენელების უნარი აქვს.**

**თუკი თქვენ ყოველდღე ამ ხუთი ჯგუფის ხილსა და ბოსტნეულს მიირთმევთ, არანაირი ვიტამინები და ბიოდანამატები აღარ დაგჭირდებათ.**

ამასთან, საჭიროა საკუთარ შესაძლებლობათა რეალურად შეფასება: თუ ასეთი მრავალფეროვნების უზრუნველყოფის შესაძლებლობა არა გაქვთ, მაშინ საჭიროა ვიტამინების დამატება.

ბოლო ასი წლის მანძილზე ბიოსამედიცინო გამოკვლევები ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკასა და განკურნვაზე იყო ორიენტირებული. მაგრამ, ამავე დროს, მეცნიერები სულ უფრო ინტენსიურად იკვლევენ ჯანსაღი ცხოვრების წესის უზრუნველყოფის პირობებს. **დაგვეთანხმებით, რომ გადარჩენა და კეთილდღეობა — ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ცნებაა,** იმიტომ რომ გადარჩენა — ესაა სნეულებებთან ბრძოლა, რაც ბედნიერებისთვის აშკარად არასაკმარისია. ბედნიერებისთვის ადამიანი უნდა კეთილდღეობდეს, ამისათვის კი იგი, პირველ ყოვლისა, ჯანმრთელი უნდა იყოს, რასაც თითოეულ თქვენგანს ვუსურვებთ.

## ინფორმაცია თემაში

### ჯანმრთელობის ოთხი მარტივი წესი

**სწორი კვება**

მიირთვით რაც შეიძლება მეტი უჯრედისი, რომელსაც მრავლად შეიცავს მსხალი, ვაშლი, ქლიავი. ეს მეტად მნიშვნელოვანია გულისთვისაც, კუჭ-ნაწლავისთვისაც და კიბოს პროფილაქტიკისთვისაც.

დიდად სასარგებლოა ფაფები და ყველანაირი ბოსტნეული.

ხორცი კი ზომიერად უნდა ჭამოთ, მაგალითად, წითელი ხორცი კვირაში არაუმეტეს სამჯერ. ცილების ჩინებული წყაროა თევზი, ლებნიანები, უცხიმო რძის პროდუქტები.

**ფიზიკური აქტივობა**

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ჩვეულებრივი, ოღონდ რეგულარული ფიზიკური აქტივობა (სიარული, დილის გარბენი, ველოსიპედით სიარული).

**წონის კონტროლი**

სტაბილური წონა — ჯანმრთელობის საწინდარია. განსაკუთრებით საშიშია მეტაბილური სინდრომი — ცხიმის მუცლის არეში დაგროვება.




# სიცოცხლის მეცნიერება

**გასული საუკუნის 60-იან წლებში, უმთავრესად ჰიპების მოძრაობის წყალობით, დასავლეთმა თითქოს ხელმეორედ „აღმოაჩინა“ ინდოეთი და, ამასთან ერთად, მისი ტრადიციული ხალხური მედინა აიურვედა. მას ამჟამად სხვადასხვა ქვეყნის სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში გულდასმით სწავლობენ, მაგრამ სპეციალისტის დიპლომის მისაღებად აუცილებელია სტაჟირების ინდოეთში გავლა.**

„აიურვედა“ სანკსრიტულად „სიცოცხლის ცოდნას“, ანუ, სულაც, „სიცოცხლის მეცნიერებას“ ნიშნავს. მის შემქმნელად ითვლება დჰანვანტარი, ღმერთ ვიშნუს ავატარა. მისი ოქროს ხანა ინდოეთში ბუდიზმის გაფურჩქნის პერიოდზე (327-750 წ.წ. ჩ. წ.ა.) მოდის.

აღსანიშნავია, რომ აიურვედას საბაზო პროცედურები (დიაგნოსტიკა სუნთქვითა და პულსით, სამკურნალო დიეტები, გამწმენდი ოყნები, აბაზანები და გადავლებები) ყველა ქვეყანაში სამედიცინო პრაქტიკის ნაწილად გადაიქცა.

სნეულებათა მკურნალობაში დიდ როლს ასრულებს **დიეტა.** მიჩნეულია, რომ **საკვების უმთავრესი მისი გემოს ექვსი თვისებაა: ტკბილი, მჟავე, მარილიანი, ცხარე, მწარე და მწკლარტე,** ასევე მათი მრავალნაირი შეხამება. თითოეული მათგანი გარკვეულ ფიზიოლოგიურ ეფექტს იწვევს. მაგალითად, ტკბილი ხელს უწყობს ორგანიზმში სისხლის, ქსოვილებისა და ცხიმის წარმოშობას, მჟავე — საჭმლის მონელებას, მწარე — მადის გახსნას.

გარკვეულ დარღვევათა შედეგისგან სხეულის გასაწმენდად სხვადასხვა პროცედურას, ეგრეთ წოდებულ „პანჩაკარმას“ — „ხუთ მოქმედებას“ იყენებენ, რომლის კურსი, ჩვეულებრივ, მოკლევადიან **დიეტურ კვებას, მასაჟსა და ფოტოთერაპიას** მოიცავს. ის შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც გაახალგაზრდავების თერაპია.

ამასთან, აიურვედა არამარტო სამედიცინო, არამედ თითოეული ადამიანის მიერ ჰარმონიის მიღწევაზე ორიენტირებული ფილოსოფიური სისტემაა. **იგი ადამიანს სამყაროს ნაწილად განიხილავს.**


## იყიდება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
293-37-87

## ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ:** 599 168 171; 598 51 81 35.


## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

## ცინცხალი ანეკდოტები

**— წუხელ საზარელი რამ მესიზმრა — თითქოს თითი პირში შევიყავი და იქ არცერთი კბილი არ მქონდა!**

**— ეტყობა, პირში კი არა, სხვაგან შეგიყვია თითი...**

* * *



**— ალო, შეიძლება, რომ ზეგ თქვენთან მიღებაზე მოვიდე? — ურეკავს ტიპი ნათელმხილველს.**

**— არა, ზეგ ვერ მოხვალთ, რადგან ხვალ ფეხს მოიტეხავთ...**

* * *

**— შვილო, შენ უკვე დიდი ხარ და უნდა იცოდე, რომ არანაირი თოვლის ბაბუა არ არსებობს. ის მე ვიყავი. — ეუბნება მამა თავის შვილს საბავშვო ბაღში გამართული საახალწლო ნაძვის ხის ზეიმის შემდეგ.**

**— ვიცი. ისიც ვიცი, რომ წეროც შენა ხარ.**

* * *

**კაცს უნდოდა — კაცმა გააკეთა.**

**კაცს არ უნდოდა — კაცმა არ გააკეთა.**

**კაცს არ უნდოდა და გააკეთა — კაცი დაქორწინდა.**

## კადრი




ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე